

ფედერიკო  
გარსია  
ლორკა

ხარაზის სოლის აგზავნი

შეუბრალებელი ფარსი ორ მოქმედებად. პროლოგი.

## მოქმედი პირნი

ხარაზის ცოლი  
წითელკაბიანი მეზობელი ქალი  
იისფერკაბიანი მეზობელი ქალი  
შავკაბიანი მეზობელი ქალი  
მწვანეკაბიანი მეზობელი ქალი  
ყვითელკაბიანი მეზობელი ქალი  
პირველი ფარისეველი  
მეორე ფარისეველი  
მნათეს ცოლი  
ავტორი  
ხარაზი  
ბიჭი  
ალკალდი  
დონ-შოშილიო  
ქამრიანი ყმაწვილი  
ქუდიანი ყმაწვილი  
მეზობლები, ფარისევლები, მღვდლები და  
ხალხი

## პროლოგი

ნაცრისფერი ფარდის ფონზე ფარდის წინ გამოდის ავტორი. სწრაფად გაივლის ავანსცენაზე. ხელში წერილი უჭირავს.

ავტორი. ღრმად პატივცემულო საზოგადოებავ... (პაუზა) თუმცა არა, ღრმად პატივცემულო კი არა, უბრალოდ — საზოგადოებავ: ნუ გეგონებათ, თითქოს ავტორი არ გრძნობდეს მოკრძალებას საზოგადოების მიმართ. პირიქით, მაგრამ ამ სიტყვის — „ღრმად პატივცემულოს“ — იქით იფარება ერთგვარი შიში, რალაც მუდარის მსგავსი, რათა მაყურებელი იყოს შემწყალებ მსახიობების თამაშისა და ავტორის მიმართ. როგორც კი გადააბიჯებს პოეტი ამ დარბაზისადმი შიშის ეკლიან ზღუდეს, ის უკვე მოითხოვს მოწყალებას კი არა — მხოლოდ ყურადღებას. ეს უაზრო შიში, ამავე დროს ის გარემოება, რომ თეატრი ხშირად იქცევა ხოლმე ბაზრად, აიძულებს პოეზიას მოსცილდეს თეატრს და ეძებოს სხვა გარემო, სადაც ხალხს უცნაურად არ ეჩვენება, როცა ხე, მაგალითად, იქცევა კვამლის სვეტად და იქ, სადაც იყო მხოლოდ სამი თევზი, სიტყვებისა და ხელების შემწეობით გაჩნდება სამი მილიონი, რომლითაც ბრბო შიმშილს იკლავს. ავტორმა გადაწყვიტა, თავის გმირად აქციოს ჭირვე-

ული ხარაზის ცოლი. სამყარო ცოცხლობს და სუნთქის პოეტური სახეებით, ამჯერად ავტორმა ის შემოსა ხარაზის ცოლის სამოსელში და თავის პიესას ხალხური იგავის, ანდა რომანსის ხასიათი მისცა. მაყურებელს ნუ გააოცებს ხარაზის ცოლის სიფიცხე და ველური გამოსვლები, ის ხომ მუდმივ ომშია: ომობს სინამდვილესთან, რომელშიც ცხოვრობს და ოცნებასთან, როდესაც იგი სინამდვილედ იქცევა.

მოისმის ხარაზის ცოლის ყვირილი

გამიშვით! მოვდივარ!“

მოითმინე! გრძელი კაბით და ფრთიანი ქუდით ხომ არ გამოდიხარ სცენაზე, ჩვრებში, გესმის? ხარაზის ცოლის სამოსში.

სცენის იქით ხარაზის ცოლის ხმა

„გამიშვით!“

გაჩუმდი!

(იხსნება ფარდა. სცენა მკრთლად ნათდება)— აი, ყოველ დღით, როდესაც წამოიღობა ცისკარი ქალაქების თავზე, ამ დარბაზში მსხლომნი ტოვებენ ძილის ნახევრადრეალურ სამყაროს და მიეშურებიან საქმეებზე შენ—კი, ხარაზის მომაჯადოებელი ცოლო, მოდიხარ საკუთარ სახლში—სცენაზე.

სინათლე იმატებს

ვიწყებთ! შენ ქუჩიდან შემოდიხარ.

სცენის იქით ისმის ჩაუბის ხმა

(მაყურებელს) ნახვამდის. (იხდის ცილინდრს, რომელიც შიგნიდან ბწვანედ ანათებს, მერე აბრუნებს მას, იქიდან წყალი იღვრება. რამდენადმე შემკრთალი უყურებს დარბაზს, იხვეს უკან კულისებში. დაცინვით) უკაცრავად! (გადის).

## მოქმედება პირველი

ხარაზის ოთახი. დაზგა და იარაღები. ოთახის კედლები თვალისმომჭრელად თეთრია. სიღრმეში მოჩანს დიდი ფანჯარა და კარი. ფანჯრიდან ჩანს ქუჩა—თეთრი სახლების ორი მწკრივი—ნაცრისფერი კარებით და ფანჯრების ჩარჩოებით. მარჯვნივ კარი, მარცხნივაც კარი. ოთახს აშუქებს ნარინჯისფერი დაისი. თეთლი მოქმედება მხიარულად უნდა მიმდინარეობდეს. გაფორმებული უნდა იყოს ნათელ ფერებში, თვით უმცირესი დეტალებიც კი.

ქუჩიდან შემოდის ხარაზის ცოლი—გააფთრებული. ზღუბლზე შეჩერდება—აცვია ღია მწვანე კაბა. უკან გადავარცხნილ თმებში ორი დიდი ვარდი უკეთია. ველურს წააგავს, მაგრამ მეტად ნაზია.

ხარაზის ცოლი. ...ენა დაიმოკლე, ბებერო კორიკანა! თუ ეს გავაკეთე, თუ ეს გავაკეთე... ჩემი ნებით. ხელიდან გამისხლტი, თორემ თმებით დაგიტრეფდი, გველო-ფერუმარილიანო!!! იმთაც მოისმინონ, აი, იმათ, ფანჯრებთან რომ მიყუყულებს. სჯობია ბებერს გაყვე ცოლად, ვიდრე შენი ქმარივით დაბრეცილს. ხმა აღარ გამცეთ. აღარ მინდა ლაპარაკი არც შენთან, არც სხვებთან. ხმა არ გამცეთ. ხმა აღარ გამცეთ! (შემოდის. კარს მოაჯახუნებს) ხომ ვიცი, რომ ამ ხალხთან არ შეიძლება ლაპარაკი! ახია... ახია ჩემზე. უნდა დავრჩენილიყავი სახლში ჩემს... აქამდე

8. ფედეროკო გარსია ლორკა

ვერ შევგუებოვარ — ჩემს ქმართან. ვინმეს რომ ეთქვი ჩემთვის, რომ მე, ოქროსფერთმეხა და შევთვალე — ესეც ხომ ღირს რამედ, რომ მე — ასეთი ტანწერწიტი და ასეთი სახის პატრონი ცოლად გავყვევი ამ... ამ... თემებს დავიგლეჯდი (ტირის. აკაკუნებენ) ვინ არის? (სიჩუმს) აკაკუნი მეორდება. გაჯავრებული) რომელი ხარ?!

ბიჭი. (შეშინებული) აქა მშვიდობა!

ხარაზის ცოლი. — (კარს უღებს) შენა ხარ? (გაბარებულია და აღელვებული).

ბიჭი — დიახ, სინიორა! იტირეთ?

ხარაზის ცოლი. არა. იცი, კოლომ — ასე რომ წივის — წი-ი-ი, თვალში მიკბინა.

ბიჭი. გინდა, შეგიბერავე?

ხარაზის ცოლი. არა, შეგილიკო, გამიარა. (ფეხრება). რისთვის მოხვედი?

ბიჭი. ეს ლაკის ფეხსაცმელები ღირს ხუთი ღურო, შენს ქმართან გამომატანეს, დასაკერებლად. ეს ფეხსაცმელები ჩემი უფროსი დისაა — აი, იმის, რომელსაც სახის ნაზი ფერი აქვს და ქამართან ხან ერთ ბაფთს, რომ იმაგრებს ხან მეორეს.

ხარაზის ცოლი. იქ დადე, დავაკერებთ.

ბიჭი. დედამ შემოგიტვალათ — ფრთხილად მოექეცითო, ჩაქუჩს ძალიან ნუ დაარტყამითო, იმიტომ, რომ ძალიან თხელი ლაკისაა და შეიძლება დასკდესო.

ხარაზის ცოლი დედაშენს უთხარი, რომ ჩემმა ქმარმა უმაგისოდაც კარგად იცის თავისი საქმე. ნეტა მაგან იცოდეს სადილის გაკეთება ისე, როგორც ჩემს ქმარს ფეხსაცმლის დაკერება შეუძლია.

ბიჭი. (ტირილით) ნუ მიჯავრდებით, რა ჩემი ბრალია? მე ყოველდღე ვსწავლობ გაკვეთილებს.

ხარაზის ცოლი. ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო, შენ კი არ გიჯავრდები! (კოცნის). დაიჭი ეს თოჯინა, როგორც? აიღე, შენი იყოს!

ბიჭი. ავიღებ. თქვენ მაინც არ გეყოლებათ შვილები...

ხარაზის ცოლი. ვინ ვითხრა?

ბიჭი. გუშინ დედაჩემმა თქვა — ხარაზის ცოლს არასოდეს ბავშვი არ ეყოლებათ. ჩემმა დებმა და ნათლიამ რაფაელამ კი გაიციინეს.

ხარაზის ცოლი. (გაწიწმამდა) მოახსენე, რომ მე უფრო მალე მეყოლება, ვიდრე შენს მახინჯ დებს, უფრო ლამაზი, ვიდრე მაგათ, თანაც კანონიერი ქპრი-საგან და არა ისე, როგორც დედაშენს... შენ არაფერიც არ იცი...

ბიჭი. წაიღეთ თქვენი თოჯინა, აღარ მინდა.

ხარაზის ცოლი. (დამშვიდდა) არა, არა! გქონდეს! შენ არ გიჯავრდები.

მარცხენა კარიდან შემოდის ხარაზი, ხავერდის ქულაჯა აცხია — ვერცხლის ღიღებით გაწყობილი. მოკლე შარვალი და წითელი ყელსახვევი უკეთია. იგი დახვისაკენ მიემართება.

ხარაზის ცოლი. (ბიჭს) აბა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

ბიჭი. კარგად იყავით! ნახვამდის! ბედნიერად შენახეთ! დეო, გრაციას! (გარბის).

ხარაზის ცოლი. ნახვამდის, შეგილიკო... დაბადებამდე რომ ჩავძალვებულიყავი, ამდენი ჭირი და ვაება თავს არ დამატყდებოდა. ოჰ, ფულებო, ფულებო! გაუხმეს ხელები და დაუბრმავდეს თვალები იმას, ვინც თქვენ გამოგიგონათ.

ხარაზი. (დახვას უხის) რაზე ამბობ?

ხარაზის ცოლი. შენ რა გესაქმება!

ხარაზი. მე არაფერი არ მესაქმება. მე ვიცი, რომ ყველაფერი უნდა ავიტანო.

ხარაზის ცოლი. მეც ბევრს ვიტან, ჯერ კიდევ მხოლოდ თვრამეტი წლისა ვარ.

ხარაზი. მე კი — ორმოცდაცამეტის. ამიტომაც ხმას არ ვიღებ და არ გეჩხუბები... მე ყველაფერი კარგად მესმის. ჯერ ვიმუშავებ — შენთვის, მერე კი — როგორც ღმერთი მოისურვებს.

ხარაზის ცოლი. (აქამდე სულ ზურგიით იყო ქმრისკენ, ახლა კი მობრუნდა და გულაჩუყებული მისკენ გაემართა) არ გინდა, ჩემო კარგო... ნუ ამბობ ასე...

ხარაზი. ეეჰ! ორმოცის ან ორმოცდახუთი წლის მაინც რომ ვიყო...

(გამეტებით ურტყამს ჩაქუჩს ფეხსაცმელს).

ხარაზის ცოლი. (აიღეწა) მაშინ მოსამსახურედ თუ გამოგადგებოდი, ხომ? ეს გინდოდა გეთქვა, არა? რა თქმა უნდა, თუ ცოლი ცუდია... როგორ გგონია, მე არაფრად არ ვღირვარ?

ხარაზი. კარგი. დამშვიდდი!

ხარაზის ცოლი. განა ჩემი სიყმაწვილე და სილამაზე საუნჯეზე ძვირად არა ფასობს?

ხარაზი. ქალო, მეზობლები გაიგონებენ!...

ხარაზის ცოლი. წყეული იყოს ის წუთი, წყეული იყოს ის წუთი, როდესაც მე ნათლიაჩემს დავუჯერე.

ხარაზი. ლიმონიანი წყალი გინდა?

ხარაზის ცოლი. შტერი ვარ, შტერი, შტერი! (შუბლში ხელს იტკიცავს) რა საქმროები მყავდა!

ხარაზი. (უნდა გული მოუგოს) ჰო, შენი თანასოფლელები მიაბობდნენ...

ხარაზის ცოლი. თანასოფლელები! ყველამ იცის!

სულ გადარჩეული მთხოვნელები მყავდა! მაგრამ ყველაზე უფრო ემელიანო მომწონდა... შენც ხომ იცნობდი... შავ ცხენზე იჯდა. ცხენი ფუნჯებით და ფერადი შუშებით ყავდა მორთული. ხელში შინდის წკებლა ქირა. სპილენძის დეზები — ისე პრიალებდნენ! მერე სამთარში რა მოსასხამს ატარებდა... საყელო ლურჯი საულისა ჰქონდა, თასმები ოქროსი...

ხარაზი. სწორედ ასეთი მქონდა მეც. ძალიან ძვირი ღირს.

ხარაზის ცოლი. შენ? შენა გქონდა ასეთი მოსასხამი?! რას მიედ-მოედები! არც ერთ მეწულებს სიზმარშია ცარ მოელანდება ასეთი მოსასხამი...

ხარაზი. რა მოგივიდა, ქალო?..

ხარაზის ცოლი. კიდევ ერთი მთხოვნელი მყავდა... (ქმარი გამეტებით ურტყამს ჩაქუჩს). ნამდვილი სინიორიტო... სწორედ მაშინ შეუსრულდა თვრამეტი წელი.

ხარაზი. (მოუსვენრად ცქმუტავს სკამზე) ოდესღაც მეც ვიყავი მაგდენის.

ხარაზის ცოლი. შენ? შენ არასოდეს არ ყოფილხარ თვრამეტი წლის! ის კი მართლა იყო — და მერე რა სიტყვებს მეუბნებოდა!.. ყური დამიგდე...

ხარაზი. (გაცეცხლებული აბრაზუნებს ჩაქუჩით) გაჩუმდები, ბოლოს და ბოლოს?! გინდა თუ არ გინდა — ჩემი ცოლი ხარ. მშვიერი, მწყურვალი, შიშველი აგიყვანე. რატომ გამომყევი, რატომ? თავქარიანი ხარ, თავქარიანი!

ხარაზის ცოლი. გაჩუმდი! მოთმინებიდან ნუ გამომიყვან! შენი საქმე აკეთე! უყურე ერთი ამას!

მოსასხამებში გახვეული ორი მეზობლის ქალი სიცილით ჩაივლის ფანჯრის წინ.

— ვინ უიფიქრებდა, რომ ეს ბებერი შელა ასე დაამიხდოდა სამაგიეროს? მცემე, აჰა, მცემე! დამცემე ჩაქუჩი!

ხარაზი. ეეჰ, ქალო! აყალმაყალს ნუ ასტეხ! უფიქრობთან ხალხი დადის! ღმერთო, ჩემო!

მეზობლები ისევ ჩაივლიან.

ხარაზის ცოლი. სირცხვილო! შტერი ვარ, შტერი, შტერი! წყეული იყოს ნათლიაჩემი! წყეული იყვნენ ყველა მეზობლები! შტერი ვარ, შტერი, შტერი! (თავში ხელს იცემს, გადის).

ხარაზი. (სარკვეში იყურება. ნაოკებს ისწორებს) ერთი, ორი, სამი, ოთხი — ათასი! დიახ, სინიორ! ასე მოგიხდებათ! კაცმა რომ იკითხოს — რატომ შევირთე ცოლი? ამდენი წიგნები წამიკითხავს, უნდა მცოდნოდა, რომ მამაკაცებს ყველა ქალი მოსწონთ, მაგრამ ქალებს როდის მოსწონთ ყველა მამაკაცი. რა ბედხიერად ვცხოვრობდი. ჩემი და, ჩემი და! აი, ვინ არის დამნაშავე! შემომიჩადა — მარტოხელი დარჩებო! ხან ისო, ხან ესო! ჰოდა აი, დავიღუბე! ეშმაკმა დალახვროს ჩემი და! ღმერთო აცხონე მისი სული! (გარედან ხმაური მოისმის). რა მოხდა?

ფანჯარაში გამოჩნდება საომრად მომზადებული მეზოლის ქალი, წითელ კაბაში გამოწყობილი. მის ორ ქალიშვილსაც ასევე წითლები აცვიათ.

მეზობელი ქალი. გამარჯობა!

ხარაზი. (კისერს იფხანს) გამარჯობათ!

მეზობელი ქალი. ერთი თქვენს ცოლს აქეთ მოუხმეთ! (ქალიშვილებს) შესწყვიტეთ ღრიალი! მობრძანდეს აქ და პირში მითხრას ის, რასაც ზურგს უკან დაუბობს!

ხარაზი. ჩემო კარგო მეზობელო! ღვთის გული-

სათვის, ნუ მომიწყობთ აქ აყალმაყალს! რა ვქნა? აბა შედით ჩემს მდგომარეობაში!.. დიდხანს არ ვირთავდი ცოლს, ეს მეტად სერიოზული ნაბიჯია-მეთქი, უფიქრობდი, ახლა კი — თვითონ ხედავთ!

მეზობელი ქალი. როგორ მებრალებით! გერჩინათ ჩვენებური ქალი მოგეყვანათ, თორემ ეს სოფლები...

ხარაზი. სახლში ჯოჯოხეთი მაქვს, ღმერთმა არ იცის...

მეზობელი ქალი. გული მიკვდება. ასეთი დარბაისელი კაცი...

ხარაზი. (მიმოიხედავს, ცოლი ხომ არ მოდისო) სამი დღის წინ ჩამოიღო გოჭის ფეხი, აღდგომისათვის რომ ეინახავდით და სულ შეეჭამეთ! გუშინ კი მთელი დღე ცარიელ წვენს ვხვრეპავდით — ოხრახუშით. როცა ვუსაყვედურე, ზედიზედ სამი ჭიქა უმი რძე დამალევიანა.

მეზობელი ქალი. ალქაჯი!

ხარაზი. ასეა, ჩემო კეთილო. ძალიან მაღლობელი ვიქნებოდი თქვენი, რომ წაბრძანდებოდეთ!

მეზობელი ქალი. ეეჰ! ცოცხალი იყოს თქვენი და! ის მაგას...

ხარაზი. რას იზამ! თქვენი ფეხსაცმელიც აი მზად არის!

მარცხენა კარიდან ცოლი გამოიხედავს, უთვალთვალებს.

მეზობელი ქალი. (ლაქუცით) რამდენს გამომართმევთ? ხომ იცით, რა მძიმე დროა ახლა?

ხარაზი. რამდენსაც მომცემთ. ისე, რომ არც მე მეწყინოს, არც თქვენ.

მეზობელი ქალი. (შვილებს იდაყვს წაკრავს) ორი პესეტი გეყოფათ?

ხარაზი. თქვენი ნებაა.

მეზობელი ქალი. მაშ ერთი იყოს!  
ხარაზის ცოლი. (გაავებული შემოვარდება) ავახს  
კო! (დედა და შვილები შიშისაგან კვიან.) რა სინდისი გა  
ლევს, რომ ადამიანი ასე გაყვლიფო? (ქმარს) შეს  
უსიტყვოდ ნებას აძლევ რომ გაგატყავონ! აბა აქ მოი  
ტა ფეხსაცმელი! სანამ ათ პესეტს არ გადაიხდი — ვერ  
მიიღებ!

მეზობელი ქალი. ძუნწო! ძუნწო!  
ხარაზის ცოლი. აბა, აბა, ცოტა ფრთხილად  
ილაპარაკე!

ქალი შვილები. დედა, დედა, წავიდეთ აქედან.  
მეზობელი ქალი. კარგი ცოლი გიშოვია! ჰოდა  
ახლა მოუარე!

სწრაფად გადიან.

ხარაზი. (ხურავს კარს და ფანჯარას) მომისმინე!

ხარაზის ცოლი. (დაფიქრებული) ძუნწო, ძუნწო...  
რა? რა გინდა? რა გინდა მეთქი?

ხარაზი. ყური მიგდე, შეილო! მთელი ჩემი  
ცხოვრება აყალმაყალს გაფურბოდი. (ნერწყვს გადაყლაპავს).

ხარაზის ცოლი. მერედა ჩხუბისთავს მიწოდებ  
მხოლოდ იმიტომ, რომ შენივე უფლებებს ვიცავ, არა?

ხარაზი. უკვე გითხარი, აურზაურისა ისევე მეში  
ნია, როგორც სალამანკელ ქალებს ცივი წყლის.

ხარაზის ცოლი. (სწრაფად) სალამანკელ ქალებს?  
ვერ ვიტან!

ხარაზი. რამდენჯერ წაუქეზებდივარ, გაულანძლი  
ვარ კიდევ, მე კი, თუმცა ლაჩარი არა ვარ, ყური მო  
მიყრუებია, შემშინებია უსაქმურები და ნათლიდედე  
ბი არ შეგროვდნენ, ლაყობა არ დაიწყონ, ქალაქში  
სალაპარაკოდ არ გამხადონ-მეთქი — გაიგე? დაიხსო  
ვ მე ჩემი სიტყვა!

ხარაზის ცოლი. მოიცა, მოიცა! მერე მე რა?  
თუ ცოლად გამოგყევი, მერე? სახლია დაულაგებელი?  
ცოლად გკვებავ? განა ოდესმე გქონია ასეთი გა  
სათქათებული საყელოები? განა მე არ ვმართავ ყოველ  
სალამოს შენს ლამაზ ვერცხლისძეწკვიან საათს? მეტი  
რა გინდა? ყველაფერს გადაკეთებ — ოღონდ მონად ნუ  
გამხდის! ნურავინ ნუ დამიბრძოლებს!

ხარაზი. გაათავე! სამი თვეა დაქორწინდით,  
ცივი ნიავს არ გაკარებ. შენ კი სულ ცდილობ მოთმი  
ნებიდან გამომიყვანო... განა ვერ ხედავ, უკვე დავბერ  
დი ამისთანა ხუმრობისათვის.

ხარაზის ცოლი. (უცებ დაფიქრდა) ნიავს არ მა  
კარებ (ისევ ბრაზით) მერე მე რა! რა მემატება შენი  
სიყვარულით?

ხარაზი. გგონია ბრმა ვარ? ვერა ვხედავ რასაც  
შენ ჩემთვის აკეთებ და რასაც არა? აქამდე ვარ —  
მადლარი!

ხარაზის ცოლი. (გააფთრებული) ჩემთვის სულ  
ერთია მადლარი ხარ თუ მშვიერი; მიმიფურთხებია, აი!  
(ტირის).

ხარაზი. ცოტა ჩუმიდ არ შეგიძლია?

ხარაზის ცოლი. ამისთანა ტუტუცის ხელში  
საკივლელად მაქვს საქმე!

ხარაზი. ამას ბოლო უნდა მოელოს! მე თვითონ  
მიკვირს, რა მოთმინება მქონია.

ხარაზის ცოლი. დღეს სადილი არ იქნება.  
წადი, სადაც გინდა, იქ ისადილე! (გადის).

ხარაზი. (ღიმილით) ხვალ... ხვალ... იქნებ შენც  
საძებარი გაგიხდეს სადილი... (მიემართება დაზვისაკენ).

ქუჩიდან შემოდის ალკალდი. აცვია მუქი ლურჯი ტანსაცმე  
ლი. მხრებზე მოსხპული აქვს გრძელი წამოსასხამი. ხელში უჭირავს  
ვერცხლისტარიანი კვერთხი. დინჯად ლაპარაკობს.

ალკალდი. მუშაობ?

ხარაზი. ვმუშაობ!

ალკალდი. ბევრს აკეთებ?

ხარაზი. ჩვენ გვეოფნის. (განაგრძობს მუშაობას).  
ალკალდი ცნობისმოყვარეობით ათვლიერებს გარემოს.

ალკალდი. ცუდად გამოიყურები!

ხარაზი. (თავაუღებლად) რატომ, რა მიშავს!

ალკალდი. ცოლი?

ხარაზი (თავს უქნევს თანხმობის ნიშნად) ცოლი!

ალკალდი. აი, რას ნიშნავს შენი ხნის კაცისათვის ცოლის მოყვანა. წესით, შენ ახლა ქვრივი უნდა იყო. ყოველ შემთხვევაში ერთი ცოლი მაინც უნდა გყავდეს დამარხული. აი, მე — ოთხი დავასაფლავე — როსა, მანუელა, ვისიტასიონი და უკანასკნელი ენრიკეტა გომესი. კარგი ქალები იყვნენ, უყვარდათ ცეკვა და სუფთა წყალი. მათ არა ერთხელ იწვნიეს ამ კვერთხის გემო. ჩემს სახლში ქალები უნდა კერავდნენ და მღეროდნენ.

ხარაზი. ახლა მე მიგდეთ ყური, რა დღეში ვარ — ჩემს ცოლს... არ ვუყვარვარ. ამ ფანჯრიდან ელაპარაკება ყოველ გამგლეულ ხამაკაცს — დონ-შოშილიოსაც კი... მე კი — სისხლი მემღვრება.

ალკალდი. (სიცილით) ბავშვია. მხიარულება უნდა. მაგის ხნის ქალისათვის ეგ ბუნებრივია.

ხარაზი. როგორ არა! დარწმუნებული ვარ ყოველივე ამას ჩემს სატანჯველად აკეთებს. მე... მე მას ვძულვარ. ჯერ ჩემი რბილი ხასიათის იმედი მქონდა, ვცდილობდი მისი გული საჩუქრებით მომეგო — მარჯუნის მძივებით, რქის სავარცხლებით, ბაფთებით... წვივსახვევებიც კი ვუყიდე! ეგ კი არ იცვლება.

ალკალდი. შენც რომ არ იცვლები?! ეშმაკმა დალახვროს, გიყურებ და თვალებს არ ვუჯერი. შენისთანა ვაუკაცი ერთს კი არა, ას დედაკაცს მოერივა. თუ შენი ცოლი ფანჯრიდან ყველას ელაპარაკება, თუ უხეშია... შენა ყოფილხარ დამნაშავე. ესე იგი, ხელში არ გიჭირავს. ქალებს უყვართ — რომ ხამაკაცი მაგრად ეხეოდეს, მტკიცედ აბიჯებდეს და ომახიანად ღრიალებდეს — და თუ ყოველივე ამის მიუხედავად მაინც ყიყლიყოს იძახის, ერთიღა გვრჩება — ჯოხი! როსა, მანუელა, ვისიტასიონი და ენრიკეტა გომესი — ჩემი უკანასკნელი ცოლი, დაგიდასტურებენ ყოველივე ამას ხეციდან, თუ, ღვთის წყალობით იქ მოხვდნენ.

ხარაზი. ერთი რამე მინდა გითხრათ და ვერ ვებედავ (გაუბიდავად შესცქერის ალკალდს).

ალკალდი. (მტკიცედ) მითხარი!

ხარაზი. მესმის, რომ ეს საშინელებაა, მაგრამ მე... არ მიყვარს ჩემი ცოლი.

ალკალდი. დალახვროს ეშმაკმა!

ხარაზი. დიახ, ბატონო, სწორედ რომ ეშმაკმა.

ალკალდი. მაშ რისთვის შეირთე, ბებერო მუსუსო?

ხარაზი. ასე მოხდა. ჩემი და... ჩემი დაა ყველაფერში დამნაშავე. მარტო დარჩებიო, ხან ესო, ხან ისო, ფულები მქონდა, თვითონაც ჯერ მაგრად ვიყავი ჰოდა — თანახმა ვარ-მეთქი...ო, წარმტაცო მარტობავე, სადა ხარ?! ეშმაკმა დალახვროს ჩემი და! ღმერთო, აცხონე მისი სული.

ალკალდი. კარგად გაეზი — კაცმა რომ თქვას.

ხარაზი. ჰო, სინიორ, გავები. მეტი აღარ შემიძლია. რა ვიცოდი, რა ვიცოდი რა არის ცოლი.

თქვენ კი აი, ოთხი გყავდათ. არა, არა, ჩემი ხნის კაცი  
არ შეეფერება ამ ჯოჯოხეთის ატანა.

ხარაზის ცოლი. (მღერის)

ჩვენი ცხოვრება, ცხოვრებას არ ჰგავს.

თუ შეწყდა წუთით ჩხუბი და დავა,  
ისევ დავიწყებთ — უფრო ხმამალა.

ხარაზი. ხომ გესმით?

ალკალდი. რას აპირებ?

ხარაზი. აი, რას (მიბრუნდება ცოლის მიმართულებით  
და ბრანწს უჩვენებს).

ალკალდი. გაგიჟდი?!

ხარაზი, (აგზნებით) მშვიდად ველარ ვმუშაობ. მე  
ბუნებით წყნარი კაცი ვარ. ვერ ვიტან ხმაურს და არ  
მინდა ენით სათრეველი გავხდე.

ალკალდი. (იციინს) ეგ არ გიშველის. ნუ სულე  
ლობ. დაამტკიცე, რომ ნამდვილი მამაკაცი ხარ. სა-  
წყენია, რომ ხასიათის სიმტკიცე არ გაგაჩნია.

მარცხენა კარიდან გამოდის ცოლი. იგი კურდღლის კუდით  
სახეზე ვარდისფერ უმარილს ისვამს, წარბებს ისწორებს.

ხარაზის ცოლი. სალამი!

ალკალდი. სალამი! (ხარაზს) რა ლამაზია, რა  
ლამაზია!

ხარაზი. ვითომ?

ალკალდი. რა მშვენიერი ვარდები ჩაგიწნავთ  
თმაში, რა მშვენიერი სურნელება ასდით.

ხარაზის ცოლი. თქვენს აივანზე ბევრია ასეთი  
ვარდი.

ალკალდი. დიახ, დიახ! გიყვართ ყვავილები?

ხარაზის ცოლი. მე? ვგიჟდები! ჩემი ნება რომ  
იყოს — ყვავილების ქოთნებს დავდგამდი ყველგან —  
სახლის სახურავზედაც, ზღურბლზედაც და კედლების გას-

წერივ. აი, მაგას არ უყვარს. რა უნდა ელაპარაკო,  
თავისი დღე და მოსწრება ფეხაცმელს ჩასჩინებს.  
(გდება ფანჯრის რაფაზე) გამარჯობათ! (ვილაცას ეკვლუცება).

ხარაზი. ხედავთ?

ალკალდი. უხეშია, მაგრამ მშვენიერია. რა წელი  
აქვს!

ხარაზი. თქვენ არ იცნობთ ამ ქალს!

ალკალდი. ჩუ! (მედიდურად მიემართება გასასვლელი-  
საკენ) ხვალამდე! იმედია ჭკუაზე მოხვალ. ძილი ნები-  
სა — გენაცვალე! (მიდის. თან ხარაზის ცოლს თვალს არ აშო-  
რებს) რა წელი აქვს! მირჩენია არ ვუყურო, რა თმები!  
(გადის).

ხარაზი. (მღერის) ჩვენს ქვეყანაში ბევრე ერთია,  
ბანქოს ქალაქს კი ოთხი ამშვენებს —

აგური, ყვავი, გული და ჯვარი,  
რომელს მიჰყვება დღეს მოდა ჩვენი?

ხარაზის ცოლი იღებს სკამს და აბრუნებს მას ერთი მიმართუ-  
ლებით. ქმარი იღებს მეორე სკამს და საწინააღმდეგო მიმართუ-  
ლებით ატრიალებს.

— შენ ხომ იცი, რომ ეგ ცუდადა მაქვს დაცდილი.  
ხომ იცი, რომ ჩემთვის ეგ დანაა მჭრელი, რატომ  
აკეთებ?

ხარაზის ცოლი. (სკამს ხელს უშვებს) რას ვაკე-  
თებ? განა მართალს არ ვამბობ? განძრევის საშუალე-  
ბას არ მაძლევ!

ხარაზი. მომბეზრდა შენთან ლაპარაკი, მაინც  
უსარგებლოა.

ქმარი მიდის კარისაკენ; ამ დროს ცოლი ისევ აბრუნებს სკამს, ქმარი  
მეორეს ეცემა და ისიც საწინააღმდეგო მიმართულებით აბრუნებს.

— რატომ არ მიშვებ?

ბარაზის ცოლი. ღმერთო ჩემო, სულ ვოცნი ბობ, რაც შეიძლება მალე მოშორდე აქაურობას.

ბარაზი. მამ, გამიშვი!

ბარაზის ცოლი. (ვაცოფებული) გაეთრიე!

გარეუან მოისმის გიტარისა და ფლეიტის ხვები. უკრავენ ძველებურ პოლკას. მუსიკა კომიკური უნდა იყოს. ცოლი თავს ატყევა მუსიკის აყოლებით. ქმარი გადის მარცხნივ.

ბარაზის ცოლი. (მღერის) ლარან-ლარან... როგორ მიყვარს ფლეიტა... ვგიჟდები პირდაპირ... მგონი ახლა ავტირდები... რა ლაპაზია... ლარან... ლარან... უსმინე! მე მინდა, რომ იმანაც მოისმინოს... (დვება და იწყებს ცეკვას, ვითომ საქმროსთან ერთად) ოჰ, ემელიანო, რა ლამაზი თასმები გაქვს. არა, არა, სირცხვილია, ღმერთო ჩემო, ვერა ხედავ, გვიყურებენ. გამომართვი ცხვირსახოცი, კაბა არ დამისვარო. მე შენ მიყვარხარ... შენ... მე მომწონს შენი თეთრი ცხენი, ხვალ ცხენით მოდი. (იციინს, მუსიკა წყდება).

— რა საწყენია, თითქოს თაფლი წაგიცხეს ტუჩებზე. ეს რაღა არის?

ფანჯარაში დონ-შოშილიო გამოჩნდება. შავი ფრაკი აცვია და მოკლე შავი შარვალა. ხმა უთოთის. სულ თავს იქნევს, როგორც ჩინური ფაიფურის კაცუნა.

შოშილიო. ჩუჩუჩუჩუ-ჩუჩუ-ჩუჩუ.

ბარაზის ცოლი. (ფანჯარისაკენ ზურგით) პინ-პინ, პიო, პიო, პიო, პიო!

შოშილიო. (უფრო ახლოს) ჩუ-ჩუ-ჩუ! ო, ქალბატონო, ო, საპატერიტა! თეთრი ხარ, როგორც ნუშის გული და ნუშივით მწარე. ო, საპატერიტა, ოქროს ლერწამო! ო, მშვენიერო საპატერიტა მპყრობელო ჩემი გულის!

ბარაზის ცოლი. რამდენი რამე სთქვით, დონ-

შოშილიო! მე მეგონა ჩიტუნებმა ლაპარაკი არ იციან. როდგან აქ მოფრინდა შავი შოშია, შავი და ბებერი... მან იცოდეს, რომ მე ახლა არ შემიძლია მოვისმინო მისი სიმღერა, მოგვიანებით მოფრინდეს... პინ-პიო-პიო-პიო.

შოშილიო. როდესაც მწუხრი გადაათარებს ქვეყანას თავის ნაზ საფარს— როდესაც ქუჩაში აღარაქონ იქნება — მე დავბრუნდები! (ქნოსაგს ბურნუთს და აცეკვინებს ზედ სეპატერიტას საყელოსთან).

ბარაზის ცოლი. (ბრუნდება და ვაცოფებული ურტყამს დონ-შოშილიოს. კანკალებს ზიზლით) გირჩევ არ დასრუნდე, ფეხწვრილა შოშიავ! ჟანგიანო კაუჭო! მომშორდი, მომშორდი! სად გინახავთ... ზედ საყელოზე დამაცხინკვა?! მოშორდი, ჯანდაბაში! ფუი!

ფანჯარაში გამოჩნდება კამრიანი ყმაწვილი—ქუდი სახეზე აქვს ჩამოფხატული.

კამრიანი ყმაწვილი. სუფთა ჰაერს ისუნთქავთ, საპატერიტა?

ბარაზის ცოლი. ისევე, როგორც თქვენ.

კამრიანი ყმაწვილი. და სულ მარტო, რა სამწუხაროა!..

ბარაზის ცოლი. (უხეზად) რატომ არის სამწუხარო?

კამრიანი ყმაწვილი. ქალი, რომელსაც ასეთი თმა აქვს და ასეთი მკერდი!..

ბარაზის ცოლი. (უფრო უხეზად) რატომ არის სამწუხარო?

კამრიანი ყმაწვილი. იმიტომ, რომ თქვენ ღირსი ხართ, საფოსტო ბარათებზე გხატონ, თქვენ კი აქ დგახართ, ამ კართან!..

ბარაზის ცოლი. აი, თურმე რა... მე ძალიან

მიყვარს ღია ბარათები, განსაკუთრებით მიყვარს, როდესაც ასეთ ბარათებს მიგზავნიან კავალრები შორეული მოგზაურობიდან.

ქამრიანი ყმაწვილი. ოჰ, საპატერიტა, დივიწვი!...

განაგრძობენ საუბარს. შემოდის ქმარი, მაგრამ ამ წყვილის დანახვაზე უკან იხევს.

ხარაზი. ყველასთან საუბარს აბამს. თანაც, რადროს! ახლა მეზობლები ეკლესიიდან დაბრუნდებიან, რას იფიქრებენ? რას იტყვიან კლუბში? დაიწყებენ ჩენს გამასხარავებას, ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში, ჩემს ყველა ძვალს გადაითვლიან. (ხარაზის ცოლი იცინის.) ღმერთო ჩემო, არა, უნდა წავიდე აქედან! ერთი გამაგებინა რას იტყვის მნათეს ცოლი! მღვდლები? რას იტყვიან მღვდლები? წარმომიდგენია! (გადის დაღვრემილი).

ქამრიანი ყმაწვილი. როგორ გითხრა? მე თქვენ მიყვარხართ! ძე შენ მიყვარხარ ისე...

ხარაზის ცოლი. მართალი რომ გითხრა, როდესაც ამ სიტყვებს ამბობ, ასე მგონია, თითქოს ვილატ ბუმბულით მილიტინებს აქ, ყურის უკან — მე შენ მიყვარხარ, მე თქვენ მიყვარხართ...

ქამრიანი ყმაწვილი. რამდენი მარცვალი აქვს მზესუმზირას?

ხარაზის ცოლი. მე რა ვიცი?

ქამრიანი ყმაწვილი. წუთში იმდენჯერ ვობრაგ შენს გამო. (უახლოვდება).

ხარაზის ცოლი. (მკაცრად) ერთ ადგილზე გაჩერდი! მე გისმენ იმიტომ, რომ მსიამოვნებს და მეტი არაფერი, გესმის? თავში ნუ აგივარდა!

ქამრიანი ყმაწვილი. შეუძლებელია, ალბათ სხვა ვინმე გყავს არჩეული.

ხარაზის ცოლი. იცი, რა? მოშორდი აქედან! ქამრიანი ყმაწვილი. მე არ წავალ, სანამ არ იტყვი თანახმა ვარო! ოჰ! საპატერიტა, მითხარი, თანახმა ვარო! (მთხვევას უპირებს).

ხარაზის ცოლი. (ფანჯარას მიაჯახუნებს) თავხედი! იტყუცი! მოგხვდა?! შენი ბრალია! თითქოს იმისთვის მოვედი ფანჯარასთან... იმისთვის... ნუთუ ამ ქალაქში არავისთან არ შეიძლება დალაპარაკება? ეტყობა, აქ მხოლოდ მოლოზნები და ცუდი ყოფაქცევების ქალები ცხოვრობენ. ვაიმე, ესლა მაკლდა! (ყნოსავს ჰერს) ხორცი დამეწვა! საზიზლარი ვარ, საზიზლარი (გარბის). ბნელდება. შემოდის ხარაზი. მხრებზე გრძელი წამოსასხამი აქვს მოვდებული, ილიაში საცვლები ამოუდგია.

ხარაზი. მე ან სხვა კაცად ვიქეცი, ან ველარ ცნობ საკუთარ თავს. მშვიდობით, ჩემო სახლ-კარო! მშვიდობით, ჩემო დაზგავ! ჩაქუჩო, ლურსმნებო, ხბოს ტყავო! ეეჰ, რას ვიზამ! (მიდის კარისაკენ. კარებში ორ კორისეველს შეეჩხება).

1-ლი ფარისეველი. სასეირნოდ?

მე-2 ფარისეველი. თქვენ დასვენება გჭირდებათ!

ხარაზი. (მოლუშული) კარგად იყავით!

1-ლი ფარისეველი. დაისვენეთ, ბატონო!

მე-2 ფარისეველი დაისვენეთ, დაისვენეთ! (მიდის).

ხარაზი. ჰო, დაისვენეთ, დაისვენეთ, თვითონ

ქუჭრუტანაში იტყუებოდნენ. კორიკანებო! ალქალებო! რალაც ძალიან ტკბილად გალობდნენ. ალბათ ახლა ქალაქში მხოლოდ ჩემზე, მაგაზე და მაგის ყმაწვილებზე იქნება დალაპარაკი! დალახვროს ეშმაკმა ჩემი და! ღმერთო, აცხონე მისი სული! არა, არა, მირჩევნია წავიდე აქედან, თორემ თითოთ საჩვენებელი გაგხდები! (სწრაფად გადის. კარს ღიად ტოვებს).

მ. ფედერიკო გარსია ლორკა

მარცხნიდან შემოდის ხარაზის ცოლი.

ხარაზის ცოლი. სადილი მზალ არის! არ მის? ნუთუ ეს თავხედი კაფეში წავიდა? კარიც კი გაიხურა. არა უშავს, დაბრუნდება — მიიღებს და რე როგორ! ყველა მამაკაცები ერთნაირები არიან უსინდისოები! წავიდა... წავიდეს რა.. (შეკრთება) და... (ანთელს ანთებს).

ნახირი ბრუნდება, ქუჩიდან მოისმის ბატკნების ბლავილი, გენების წკარუნნი.

ხარაზის ცოლი. (ფანჯარაში იხედება) რა ლამაზი ფარაა! ბატკნები მაგივრებენ... შეხედე, შეხედე, აი ის თეთრი — პაწაწკინა ჯერ ვერც კი დადის. ვაიმე, ვაიმე გასჭყლეთს ის დიდი საზიზღარო ცხვარი. მწყემსი კი ყურებსაც არ იბერტყავს. (ყვირის, ეი, შენ — საფრთხობელა, ვერა ხედავ ბატკანს რომ გითელავენ! (პაუზა) არა, არ არის სულ ერთი! როგორ თუ რა ჩემი საქმეა? უზრდელი! დამაცადე! (ჩამოდის ფანჯრიდან) რა იქნა ჩემი მაწანწალა? ორ წუთში თუ არ მოვა — აღარ დაველოდები. რატომ უნდა ველოდო? ეგღო მაკლია. ხომ ვუცადე — ეყოფა! მერე დღეს ისეთი გემრიელი სადილი მოვამზადე! შევწვი ხორცი და კარტოფილი. ზედ ორი ცალი მწვანე წიწაკა, თეთრი პური, ერთი ნაჭერი ღორის ქონი, გოგრა, ლიმონის ქერქი... გემრიელი სადილის მომზადება ჩემი საქმეა!

ბონოლოგის დროს დადის წინ და უკან, სკამებს ასწორებს, სანთლიდან ნამწვავს ხსნის, კაბას მტვერს აცლის.

ბიჭი. (კარებში) ისევ ჯავრობ?

ხარაზის ცოლი. საით, ძვირფასო?

ბიჭი. (კარებში) ხომ არ გამიჯავრდები? არა? თორემ იცი, დედა ხანდახან მცემს და ჩემი სიყვარუ-

ლი მისდამი იწონის ოც ფუტს, შენდამი კი — ოც-დათორმეტ ნახევარ ფუტს.

ხარაზის ცოლი. რატომ ხარ ასეთი კარგი?! (მუხლებზე ისვამს).

ბიჭი. რალაცის სათქმელად მოვედი — რასაც ვერაგინ ვერ გეუბნება. შენ წადი, არა შენ, არა შენო! და არც ერთი არ იძვრის ადგილიდან. მერე ვილაცამ თქვა — ბიჭი წავიდესო! იმიტომ რომ... იმიტომ რომ... ამისი თქმა ყველას ეძნელება...

ხარაზის ცოლი. თქვი, რა მოხდა?

ბიჭი. ნუ გეშინია, მიცვალე მუხლებზე არ ვილაპარაკებ!

ხარაზის ცოლი. აბა, ჩქარა!

ბიჭი. იცი, საპატერიტა...

ფანჯარაში პეპელა შემოფრინდება. ბიჭი მუხლებიდან ჩამოხტა და დაედევნა მას.

ბიჭი. პეპელა, პეპელა! მომეცი ქუდი. ყვითელია, ლურჯი წვრილი ლაქებით. როგორია!

ხარაზის ცოლი. შენ რომ უნდა გეთქვა...

ბიჭი. (გაჯავრებით) ჩუმად! ვერა ხედავ, ეშინია. ვაიმე, ჩქარა მომეცი შენი ცხვირსახოცი.

ხარაზის ცოლი. (ისიც გაერთობა) აი!

ბიჭი. ჩუ, ნუ აბაკუნებ!

ხარაზის ცოლი. იცოდე, გაფრინდება!

ბიჭი. (ჩუმად, თითქოს უნდა მოაჯადოვოს, უმღერის პეპელას).

კარგო, პეპელა

ხარ რა ლამაზი!

ოქრო-ზურმუხტო,

ფრთები გაქვს ნაზი.

სანთლის ალი ხარ,  
ელვარე სანთლის.  
პეპელავ, ბინა  
სადა გაქვს შენა?  
რატომ არ გინდა  
ჩვენთან დარჩენა?  
პეპელავ, შენა  
სადა გაქვს ბინა?  
საით მიფრინავ,  
საით მიფრინავ?  
კარგო პეპელავ,  
ხარ რა ლამაზი,  
ოქრო-ზურმუხტო,  
ფრთები გაქვს ნაზი.  
პეპელავ, ბინა  
სადა გაქვს შენა?  
რატომ არ გინდა  
ჩვენთან დარჩენა?

ხარაზის ცოლი. (ხუმრობით) ჰააა?  
ბიჭი. არა, ასე არაფერი არ გამოდის.  
პეპელა მიფრინავს.

ხარაზის ცოლი. აი, აქ არის, აი.  
ბიჭი. (მზიარულად დარბის ცხვირსახოცით ხელში). სულ  
ასე იფრენ? არ დაჯდები?  
ხარაზის ცოლი. (გარბის ბიჭისაკენ) მიფრინავს...  
მიფრინავს... ბიჭი პეპელას კვალდაკვალ კარისაკენ გარბის.  
(მკაცრად) საით?  
ბიჭი. (დაბნეული შეჩერდება) მართლა, გაფრინდა!  
(უცებ) რა ჩემი ბრალია?  
ხარაზის ცოლი. კარგი! შენ ხომ დამპირდი  
რალაცას გეტყვიო — აბა!

ბიჭი. იცი რა?...შენი ქმარი... ხარაზი... სახლში  
შეღარ დაბრუნდება.

ხარაზის ცოლი. (შეშფოთებული) რა?

ბიჭი. ჰო — ჰო! ასე სთქვა დილიჯანსში ჩაჯდო-  
ლის წინ. დავვაბარა, უთხარითო. მთელმა ქალაქმა  
იცის.

ხარაზის ცოლი. (სკანზე დაეშვება) შეუძლებელია,  
არა მჯერა.

ბიჭი. არა, მართალია! ოღონდ ნუ გამიჯავრდე-  
ხი, ხომ?

ხარაზის ცოლი. (დგება. გააფთრებული ფეხებს აბარ-  
ტყუნებს) მაშ ასე გადამიხადა სამაგიერო, მაშ ასე გადა-  
მიხადა სამაგიერო?!

ბიჭი. (მაგიდის უკან იმალება) თმის საბნევეებს  
ფანტავ!

ხარაზის ცოლი. მარტო როგორ უნდა ვიცხოვ-  
რო? ვაიმე! ვაიმე!

ბიჭი გარბის კარში. ფანჯარაში მოსჩანან მეზობლები და  
ალკალდი.

ხარაზის ცოლი. მობრძანდით, ჭორიკანებო,  
ნათლიდედებო, თქვენი გულისათვის!..

ალკალდი. აბა, გაჩუმდი! შენმა ქმარმა იმიტომ  
მიგატოვა, რომ შენ ის არ გიყვარდა! იმიტომ, რომ  
ვეღარ გაგიძლო!

ხარაზის ცოლი. თქვენ რა, ჩემზე უკეთ იცით  
მიყვარდა თუ არა? დიახ მიყვარდა! ისე მიყვარდა  
რომ... რამდენი ლამაზი და მდიდარი მთხოვნელი  
მყავდა — ყველას უარი ვუთხარი. ჩემო საწყალო —  
რა არ მოგიჭორეს ჩემზე!

მნათეს ცოლი. გაჩერდი, მეზობელო!

ხარაზის ცოლი. არა, არ გავჩერდები, არა არ  
გავჩერდები!

ოთახში ერთიმეორის მიყოლებით შემოდინ მეზობელი ქალები — მათ ღია ფერის კაბები აცვიათ. ხელში უზარმაზარი ჭიქები უკავიათ — გამაგრებელი სასმელით სავსე. ისინი გარს უღლიან ხარაზის ცოლს, რომელიც იატაკზე ზის და ცეკვის აყოლებით მოსთქვამს. მათი განიერი კაბები ფრიალებს ყველანი სასაცილოდ გამოხატავენ თანაგრძნობას.

ყვითელკაბიანი მეზობელი. გამაგრებელი!  
ქრელკაბიანი მეზობელი. გამაგრებელი!  
მწვანეკაბიანი მეზობელი. რომ სისხლმა  
იმოდრაოს!

შავკაბიანი მეზობელი. ლიმონის!

იისფერკაბიანი მეზობელი. პიტნისა ჯობია!

წითელკაბიანი მეზობელი. მეზობელო!

მწვანეკაბიანი მეზობელი. მეზობელო!

შავკაბიანი მეზობელი. საპატერა!

წითელკაბიანი მეზობელი. საპატერიტა!

მეზობელი ქალები ასტუნენ მზიარულ ხმაურს. ცოლი მოთქმით ტირის.

ფ ა რ დ ა .

## მოქალაქე გეორგი

პირველი მოქმედების დეკორაცია. ოთახის მარცხენა კუთხეში მოთხრობილი დახუცა დეკორაცია. მარჯვნივ მოწყობილია დახლი, სადაც დეკორაცია ბოთლები და დიდი თასი წყლით სავსე. ხარაზის ცოლი რეცხავს ღვინიან ჭიქებს. დახლთან დეკორაცია, აცვია ღია წითელი ფერის კაბა—განიერი ბაფთებით მორთული და მოკლესაველი. მისი დეკორაცია ორი მაგიდა. ერთ-ერთს უზის დონ-შოშილია და სვამს გამაგრებელ სასმელს. მეორეს უზის ყმაწვილი სახეზე ქუდ-ხამოფხატული. ცოლი გულდასმით რეცხავს ჭიქებს, ამწვანებს და დახლზე ალაგებს. კარებში გამოჩნდება ქამრიანი ყმაწვილი. ნაღვლიანი იერი აქვს, ხელები ძიუს დაუშვია, ნაზად შეპყრობს ხარაზის ცოლს. თუ მსახიობი, რომელიც თამაშობს ამ როლს, შეეცდება გადააქარბოს—რეჟისორმა ჯობი უნდა მოცხოვროს. საერთოდ არავინ არ უნდა აშაოყებდეს. ფარსი მოითხოვს ბუნებრივობას. ანტორმა დახატა ეს ტიპი, კოსტიუმერმა ჩააცვა მას, მსახიობმა კი უბრალოდ უნდა განასახიეროს. ქამრიანი ყმაწვილი კარებში ჩერდება. დონ-შოშილია და ქუდიანი ყმაწვილი მობრუნდებიან და შესცქერიან მას. ეს თითქმის კადრია ფილმიდან. მსახიობთა გამომეყვებლება მას ანიჭებს სათანადო დაძაბულობას. ხარაზის ცოლი შესწევს ჭიქების რეცხვას და ყურადღებით შესცქერის ყმაწვილს. პაუზა.

ხარაზის ცოლი. მობრძანდით!

ქამრიანი ყმაწვილი. თუ თქვენ ასე გსურთ...

ხარაზის ცოლი. (გოცბული) მე?.. ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ მე ვხედავ—კარებში დგახართ.

ქამრიანი ყმაწვილი. როგორც თქვენ მოისურ-

ვებთ. (დახლს დაეყრდნობა. მუქარით) აი, კიდევ ერთი, III  
საც მე...

ხარაზის ცოლი. რას მიირთმევთ?

ქამრიანი ყმაწვილი. რასაც მიბრძანებთ!

ხარაზის ცოლი. მაშინ, კარი ღიაა, შეგიძლიათ  
მიბრძანდეთ!

ქამრიანი ყმაწვილი. ღმერთო ჩემო! როგორ  
იცვლებიან დრონი!

ხარაზის ცოლი. იმედი ნუ გექნებათ, არ ავტირ-  
დები. კარგით! რა გნებავთ, ღვინო, ყავა, გამაგრილე-  
ბელი? დროზე, ხმა ამოიღეთ!

ქამრიანი ყმაწვილი. გამაგრილებელი!

ხარაზის ცოლი. ასე ნუ შემომცქერით, წვენი  
დამექცევა.

ქამრიანი ყმაწვილი. ოჰ, მე ვკვდები— ოჰ!

ფანჯარასთან ორი კვკლუცი ჩაივლის— უხარმაზარი მარაოე-  
ბით ხელში. ოთახში შემოიხედავენ. ამ სცენის დანახვაზე პირჯვარს  
გადაიწერენ, სახეს მარაოებით იფარავენ და გზას განაგრძობენ.

ხარაზის ცოლი. გამაგრილებელი?

ქამრიანი ყმაწვილი. (შესცქერის ხარაზის ცოლს) აჰ!

ქუდიანი ყმაწვილი. (იატაკს დასცქერის) აჰ!

დონ-შოშილიო. (ჭერს შესცქერის) აჰ!

ხარაზის ცოლი. (სათითაოდ გადახედავს სამივეს) აჰ!  
აჰ! აჰ! აჰ! რა, ტავერნაა თუ ლაზარეთი? რა აუტანლე-  
ბი ხართ! გაჭირვება რომ არ მაიძულებდეს ღვინითა და  
ამ სასმელებით ვაჭრობას, იმის შემდეგ რაც თქვენი  
გულისთვის სახლიდან წავიდა ჩემი ქმარი, ჩემი სიხა-  
რული, ჩემი სიცოცხლე და მე დავრჩი მარტო... განა  
ავიტანდი ყოველივე ამას? რაო, რას მიპასუხებთ? იმა-  
საც მოესწრებით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში  
გისვრიტ.

დონ-შოშილიო. ძალიან კარგადაა ნათქვამი.

ქუდიანი ყმაწვილი. შენ გახსენი ეს ტავერნა  
და ახლა ჩვენი ნებაა, რამდენხანსაც მოვისურვებთ იმ-  
დენ ხანს ვისხდებით.

ხარაზის ცოლი. (გააფთრებული) რაო, რა ბრძანე?

ქამრიანი ყმაწვილი გასასვლელისაკენ მიემართება დონ-შოში-  
ლიო ღიმილით დგება. იგი მიმიკით ანიშნებს ყმაწვილებს, რომ  
ვითომ მოლაპარაკებულია ხარაზის ცოლთან და მალე უკან დაბ-  
რუნდება.

ქუდიანი ყმაწვილი. რაც გაიგონე, ისა ვსთქვი.

ხარაზის ცოლი. მე კი აი, რას გეტყვით. კარ-  
გად დამიხსოვრეთ შენც და მთელმა ქალაქმაც. უკვე  
ოთხი თვეა, რაც ქმარმა მიმატოვა მაგრამ მე მაინც არ  
გავტყდები— იმიტომ, რომ ქმრიანი ქალი მტკიცედ უნდა  
იდგეს თავის ადგილზე, ასე გვიბრძანა მამა ღმერთმა.  
მე არავისი არ მეშინია, გაიგონე? იმიტომ რომ ჩემს  
ძარღვებში პაპაჩემის სისხლი დულს, ის კი, ღმერთო  
აცხონე მისი სული, ცხენების გამხედნავი იყო და ნამდ-  
ვილი მამაკაცი. მე პატიოსანი ქალი ვარ და ასეთივე  
ვიქნები ბოლომდე. ვიქნები ჩემი ქმრის ერთგული—  
სიკვდილამდე.

დონ-შოშილიო სწრაფად მიდის-მარცხენა კარისაკენ, და ანიშ-  
ნებს დანარჩენებს, რომ ვითომ შეთქმულია ხარაზი ცოლთან.

ქუდიანი ყმაწვილი. (დგება) მე საკმაოდ მამაცი  
ვარ, რომ ხარს რქებში მოგკიდო ხელი და ქვიშა ვალო-  
კინო, საკმაოდ მამაცი ვარ, რომ მისი უმი ტვინი შევ-  
ჭამო და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ კბილებს არა-  
სოდეს არ მობეზრდებათ მტრის გლეჯა ნაკუწ-ნაკუწ!  
(სწრაფად გადის. დონ-შოშილიო შეძვრა მარცხენა კარში).

ხარაზის ცოლი. (თავზე ხელს იტაცებს) ღმერთო,  
ჩემო! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!  
(ჯდება).

კარებში ბიჭი გამოჩნდება. მიეპარება ხარაზის ცოლს და თქ-  
ლებზე ხელს დააფარებს.

ბიჭი. ვინა ვარ?

ხარაზის ცოლი. ჩემი შვილიყო, ჩემი კარგი ბიჭი!

ბიჭი. ჰო, მე ვარ (კოცნიან ერთმანეთს).

ხარაზის ცოლი. შუადღის ულუფისათვის მოხ-  
ვედი?

ბიჭი. თუ მერგება?

ხარაზის ცოლი. დღეს შოკოლადს მიიღებ.

ბიჭი. რა კარგია! ძალიან მიყვარს შენთან მოსვლა!

ხარაზის ცოლი. იმიტომ, რომ პატარა მექრთამე  
ხარ.

ბიჭი. მე? ნახე! ხედავ ამ მუხლს?

ხარაზის ცოლი. მიჩვენე! (ჯდება პატარა სკამზე და  
ბიჭს მხლებზე ისვამს).

ბიჭი. კუნთილი შენზე სიმღერას მღეროდა... მე  
ცხვირ-პირში გავარტყი, იმან კი ქვა მესროლა... ბაც!  
ნახე!

ხარაზის ცოლი. გტკივა?

ბიჭი. ახლა არა, მაგრამ ვიტირე.

ხარაზის ცოლი. ყურადღებას ნუ მიაქცევ, ილა-  
პარაკონ რამდენიც უნდათ.

ბიჭი. შენზე ცუდ სიტყვებს ამბობდა. მე ვიცი, მაგ-  
რამ არ მინდა გავიმეორო.

ხარაზის ცოლი. აბა, გაბედე! ენაზე წიწაკას და-  
გაყრი, ნაკვერცხალივით დაგწვავს.

იციინან.

ბიჭი. შენ რატომ გაბრალებენ შენი ქმრის წასვლას?  
ხარაზის ცოლი. მაგათი ბრალა! მაგათ გამაუ-  
ბედურეს.

ბიჭი. (ნაღვლიანად) არ გინდა, საპატერა!

ხარაზის ცოლი. მე მას სულ თვალეში შევცქე-  
ვიდი, როდესაც იგი თეთრ ცხენზე იჯდა...

ბიჭი. (სიცილით აწყვეტინებს) ტყუიხარ! სინიორ, ხა-  
რას თეთრი ცხენი არ ჰყოლია!..

ხარაზის ცოლი. ზრდილობიანად მოიქეცი! რო-  
გორ არ ჰყავდა!.. რასაკვირველია, ჰყავდა... ოღონდ  
შენ მაშინ არც კი იყავი ამქვეყნად.

ბიჭი. (სახეზე ხელს მოისვამს) ჰო, მართალია!

ხარაზის ცოლი. გესმის? პირველად მაშინ დავი-  
ახსე, როდესაც წყაროზე სარეცხს ვრეცხავდი. წყარო  
ღრმია და როდესაც წყალს აამღვრევ, მოსჩანს თუ  
როგორ იცინიან ფსკერზე კენჭები... მას შავი, წელში  
გამოყვანილი ქულაჯა ეცვა, წითელი აბრეშუმის ყელსა-  
სამი ეკეთა და ოთხი ოქროს ბეჭედი, რომლებიც ოთხი  
მხესავით ელვარებდნენ...

ბიჭი. რა ლამაზია!

ხარაზის ცოლი. მან მე შემომხედა, მე—მას. მე  
ბალახებზე დავწექი. აქამდე ვგრძნობ იმ ცელქი ნიავის  
სუნთქვას სახეზე—ხეებში რომ ხმაურობდა. მან ცხენი  
შეაჩერა. კუდი ამ ცხენს თეთრი ჰქონდა და ისეთი  
გრძელი, რომ ბოლო წყაროში ცურავდა (თითქმის ტირი.  
შორიდან მოისმის სიმღერის ხმა) ისე დავიბენი, რომ ხელი-  
დან გამივარდა ორი ლამაზი აბრეშუმის ცხვირსახოცი,  
აი, ასეთი პაწაწინა და წყალმა წაიღო...

ბიჭი. აი, ეს მესმის!..

ხარაზის ცოლი. და მაშინ მითხრა (სიმღერა ახლოვ-  
დება) პაუზა.—ჩუ!

ბიჭი. მღერიან.

ხარაზის ცოლი. მღერიან! (პაუზა. ორივე ყურს შვ-  
დებს) სიტყვები იცი?

ბიჭი. (თავს უქნევს) ვიცი, ვიცი.

ხარაზის ცოლი. მაშინ მიმღერე, მეც მინდა ეს ცოდე.

ბიჭი. რად გინდა?

ხარაზის ცოლი. მინდა ვიცოდე რაზე მღერის ბიჭი.

ბიჭი. მაშინ მისმინე! (აყვება სიმღერას).

საპატერას უტყვი ქმარი,  
როგორც გასცდა სახლის კარებს,  
მის გარშემო კავალრებმა  
წამსვე თავი მოიყარეს.

ხარაზის ცოლი. მე მაგათ ვუჩვენებ!

ბიჭი. (მაგიდაზე ხელის კაკუნით მღერის).

საპატერას უტყვი ქმარი,  
როგორც გასცდა სახლის კარებს,  
კავალრებმა ნაირფერი  
საჩუქრები დააყარეს.

თვით ალკალდი ოხრავს მისით,  
მასზე ოხრავს დონ-შოშილიო,  
საპატერა, საპატერა,  
თავი რატომ შეირცხვინე!

სიმღერა ახლოვდება. უკვე მოისმის დაირის აკომპანემენტიც ხარაზის ცოლი მოსასხამს მხარზე მოიგდებს.

ბიჭი. (შეშინებული) საით?

ხარაზის ცოლი. იქამდე მიმიყვანენ, რომ რე ვოლვერს ვიყიდი!

სიმღერა შეწყდა. ხარაზის ცოლი კარისკენ გარბის. ზღურბლზე მედიდურ ალკალდს შეეჩხება, რომელიც იატაკს კვერთხს დაჰკრავს და გოროზად კითხულობს.

ალკალდი. აქ ვინ ვაპრობს?

ხარაზის ცოლი. არავინ!

ალკალდი. რა მოხდა?

ხარაზის ცოლი. მოხდა ის, რაც დიდი ხანია ჩვენც უნდა იცოდეთ და რაც თქვენი შემწეობით არ უნდა მომხდარიყო. ხალხი ჩემზე სიმღერებს მღერის, სობლები დამცინიან და ვინაიდან გვერდით არა მყავს მარი, რომელიც დამიცავდა, მე მივდივარ, რათა თვითონ დავიცვა საკუთარი თავი. რას ვიზამ! რახან ჩვენს ხელისუფალთ თავების მაგივრად ცარიელი გოგრები ვართ, ვინაიდან ისინი არარაობას წარმოადგენენ, თუ ხელით მოსამართი თოჯინები არიან...

ბიჭი. კარგადაა ნათქვამი!

ალკალდი. (გაჯაგრებით) ბიჭო, ბიჭო, ენას ნუ ატარებ! (ხარაზის ცოლს) იცი რა ვქენი? ორი თუ სამი კაცი ჩავსვი ციხეში რომლებიც მღეროდნენ, ხარაზის ცოლი. ასე რომ იყოს...

ხმა სცენის გარეთ—ბი-ი-კო-ო!

ბიჭი. დედა მეძახის! (გარბის ფანჯრისაკენ) რა-ა-ა-ა? სახვამდის! თუ გინდა, პაპაჩემს ომში რომ დაჰქონდა, იმ დიდ ხმალს მოგიტან. მე ვერ მოვერევი—ხომ გესმის?.. შენ კი...

ხარაზის ცოლი. (იცინის) რასაც გინდა იმას გააკეთებ!

ხმა—ბი-ი-ი-ი-კო-ო!

ბიჭი. (ქუჩაშია უკვე) რაააააა?

ალკალდი. მე მგონი, შენ მარტო ამ ეშმაკის ფეხს ეპყრობი ადამიანურად.

ხარაზის ცოლი. სიტყვას არ იტყვიოთ ისე, რომ მე არ გადმოიმკრათ. რა გაცინებთ?

ალკალდი. ის, რომ ასეთი ლამაზი ხარ და ასეთი ჭირვეული.

ხარაზის ცოლი. ძაღლებს დაუჭამია სუყველა (მიაწვდის ღვინით სავსე ჭიქას).

ალკალდი. რა მაცდურია ეს ცხოვრება! მე ენობდი ყაყაჩოსავით ელვარე ქალებს, სურნელოვან ვარდივით მშვენიერთ, შავტუხა ეშხიანებს, რომელთა თმებს ყვავილთა სურნელება ასდიოდათ, ხელები ველთვის ცხელი რომ ჰქონდათ. ვიცნობდი ქალებს, რომელთა წელს ორი თითით შემოვწვდებოდი, მაგრამ შენისთანას... ისეთს, როგორიც შენა ხარ, არასოდეს. სამი დღის წინ მთელი დილა ლოგინიდან ვერ წამოვდექი, ავად გავხდი მარტო იმის გამო, რომ შენ ეხოსო ორი ცისფერბაფთიანი პერანგი გამოკიდე, დავინახე, თითქოს შენთვის შემომეხედოს, ჩემო სიხარულო!

ხარაზის ცოლი. (გაავებული) გაჩუმდი, ბებერი ეშმაკო! გაჩუმდი! გასათხოვარი ქალები სახლში უზის, ამხელა ოჯახის პატრონია, ეს კი აქ არშიყობას მიმართავს, თანაც ისე თავხედურად, რომ ყოველგვარ სისიძაგლეს მეუბნება.

ალკალდი. მე ქვრივი ვარ.

ხარაზის ცოლი. მე კი ქმარი მყავს.

ალკალდი. მაგრამ შენმა ქმარმა მიგატოვა, აღარ დაბრუნდება. მე ვიცი...

ხარაზის ცოლი. მე კი ისე ვიცხოვრებ, თითქოს ის აქ იყოს!

ალკალდი. მე ვიცი, რომ შენს ქმარს ამდენადაც არ უყვარდი. თვითონ მითხრა.

ხარაზის ცოლი. მე კი ვიცი, რომ თქვენს ოთხსავე ცოლს, ეშმაკმა წაიღოს მათი სული, ჭირივით ეჯავრებოდით!

ალკალდი. (კვერთხს ურტყამს იატაკს) კმარა!

ხარაზის ცოლი. (ჭიქას ახეთქებს იატაკს) კმარა! (პაუზა).

ალკალდი. ერთი ხელში ჩამივარდებოდე, მოგარჯულებდი!

ხარაზის ცოლი. რა ბრძანეთ?

ალკალდი. არაფერი! მე იმას ვფიქრობ, შენ რომ კკუთით მოიქცეოდე, ნოტარიუსთან ერთ საქმეს გავჩარხავდი.

ხარაზის ცოლი. მერე?

ალკალდი. არსებობს შესანიშნავი სახლი, რომლის მარტო ერთი სასტუმრო ოთახი ხუთი ათას რეალად ფასობს. მაგიდებზე უზარმაზარი ლარნაჟები დგას, ფანჯრებზე ფარჩის ფარდები ჰკიდია. უზარმაზარი სარკეები...

ხარაზის ცოლი. მერე?!

ალკალდი. (აბუზბუზდა) მერე ის, რომ ამ სახლში ერთი საწოლი დგას ჩიტუნებით და მოვერცხლილი ზამბახებით მორთული. იქვე ბალია. ბაღში ექვსი პალმის ხე ხარობს. შადრევანი სჩქეჟს... მაგრამ ამჟამად სახლი დგას პირქუჩად, იმის მოლოდინში, რომ მასში დაბინავდება ერთი ჩემი კარგი ნაცნობი ქალი, რომელიც ამ სახლში იქნება... (მოუბრუნდება ხარაზის ცოლს) მომისმინე, იმ სახლში ნამდვილ დედოფალავით იცხოვრებ!

ხარაზის ცოლი. (დამცინავად) მე არა ვარ ფუფუნებას მიჩვეული. თვითონ დაბრძანდით იმ სასტუმრო ოთახში, იგორავეთ საწოლებზე, ჩაიჭყიტეთ ყველა სარკეში, დაწექით პალმის ძირში და პირი დააღეთ, იქნებ შიგ ფინიკები ჩავიცვივდეთ, მე კი ხარაზის ცოლი ვარ და ხარაზის ცოლად დავრჩები.

ალკალდი. მე კი ალკალდად! გახსოვდეს — ჭაში ნუ ჩააფურთხებ — გამოგადგება!

ხარაზის ცოლი. არაფინაც არ გამომადგება! თქვენ კიდევ ისეთი ბებერი ხართ!

ალკალდი. (აღშფოთებით) იმას გამომჩეები, რომ ცოლი ხეში ჩაგსვამ.

ხარაზის ცოლი. აბა, სცადეთ! (შორიდან საყვირის სასაცილო ხმა მოისმის).

ალკალდი. ეს რა არის?

ხარაზის ცოლი. (თვლებს დააჭყვეტს მხიარულად) ჯამბაზი! (სიხარულისაგან მუხლებზე იელებს ირტყამს).

ფანჯარასთან ჩაივლიან წითელკაბიანი და იისფერკაბიანი მეზობელი ქალები.

წითელკაბიანი მეზობელი. ჯამბაზი!

იისფერკაბიანი მეზობელი. ჯამბაზი!

ბიჭი. (ფანჯარაში) მაიმუნებზე მოიყვანეს! წამოდი!

ხარაზის ცოლი. კარი უნდა დაგკეტო!

ბიჭი. აქეთ მოდიან.

ხარაზის ცოლი. მართლა? (ძიღის კარისაკენ).

ბიჭი. შეხედე!

შემოდის ჯამბაზად გადაცმული ხარაზი ხელში საყვირი უჭირავს. ზურგზე დახვეული ტილო აქვს მოდებული. ხალხი რჩება კარებთან. ხარაზის ცოლი დგას ელოდება, თუ რა მოხდება. ბიჭი ფანჯრიდან გადმოხტება და მის კაბას ამოეფარება.

ხარაზი. გამარჯობა!

ხარაზის ცოლი. გამარჯობა, ბატონო ჯამბაზო!

ხარაზი. შეიძლება აქ დავისვენო?

ხარაზის ცოლი. შეგიძლიათ დანაყრდეთ კიდევ.

ალკალდი. მობრძანდით, ჩემო კარგო და მოითხოვეთ, რაც გინდათ. მე გპატიჟებთ. (მეზობელ ქალებს) თქვენ აქ რას აკეთებთ?

წითელკაბიანი მეზობელი. ქუჩაში ვის რას ვუშლით?

ხარაზი. (მიმოიხედავს. დახვეულ ტილოს მაგიდაზე დებს) თავი დაანებეთ, ბატონო ალკალდო! მგონი არ ვცდები, არა? მაგათი შემწეობით ვმოულობ მე ლუკმას.

ბიჭი. რა ნაცნობი ხმა აქვს! (მთელი ამ სცენის მანძილზე გოცემით შეჰყურებს ხარაზს) დაიწყეთ წარმოდგენა! მეზობლები იცინიან.

ხარაზი. აი, ამ ჭიქასაც დავცლი და...

ხარაზის ცოლი. (სიხარულით) მაშ, ჩემს სახლში წიდგამთ წარმოდგენას, ხომ?

ხარაზი. თუ ნებას მომცემთ...

წითელკაბიანი მეზობელი. მაშასადამე, ჩვენ შეგიძლია შემოვიდეთ?

ხარაზის ცოლი. (ცივად) შეგიძლიათ. (უსხამს ხარაზს კიდევ ერთ ჭიქას).

წითელკაბიანი მეზობელი. (ჯდება) ცოტას გავერთობით.

ალკალდი. (ჯდება) შორიდან მოდინხართ?

ხარაზი. ძალიან შორიდან.

ალკალდი. სევილიიდან?

ხარაზი. უფრო შორიდან.

ალკალდი. საფრანგეთიდან?

ხარაზი. უფრო შორიდან.

ალკალდი. ინგლისიდან?

ხარაზი. ფილიპინის კუნძულებიდან.

მეზობლები გოცემულნი ჩურჩულებენ. ხარაზის ცოლი ალტაცებულია.

ალკალდი. კატორღელები გინახავთ?

ხარაზი. ისევე როგორც ახლა თქვენ გიყურებთ.

ბიჭი. როგორები არიან?

ხარაზი. საშინელები! და წარმოიდგინეთ, ყველანი ხარაზები არიან. (მეზობელი ქალები ხარაზის ცოლს შესცქერიან).

ხარაზის ცოლი. (გაწითლდება) და ყველანი ერთ ხელობას მისდევენ?

ხარაზი. დიახ, ერთ ხელობას. ფილიპინის კუნძულებზე მხოლოდ ხარაზები ცხოვრობენ.

ხარაზის ცოლი. იქნებ ფილიპინელი ხარაზები ჩერჩეტები არიან, ჩვენი ხარაზები კი ისეთი ჭკვიანები არიან, ისეთი...

წითელკაბიანი მეზობელი. აი, ეს მართალია!

ხარაზის ცოლი. (უხეშად) თქვენ არ გეკითხებიან!

წითელკაბიანი მეზობელი. ღმერთო ჩემო, რა მოგივიდა?

ხარაზი. (ცდილობს ხმაურის ჩახშობას შესანიშნავი ღვინოა! (უფრო ხმამაღლა) არაჩვეულებრივი ღვინოა! (სიჩუმე ჩამოვარდება) ეს ღვინო შავი ყურძნისაგან არის და წურული, ისეთივე შავისაგან, როგორიც ზოგიერთი ქალის გულია.

ხარაზის ცოლი. თუ გააჩნიათ...

ალკალდი. ჩუმად! თქვენ რა ხელობისა ხართ?

ხარაზი. (ჭიქას გამოსცლის, ვნას გაატკაცუნებს, ცოლს შეყურებს) ჩემი ხელობა თვალში მოსახვედრი არ არის, სამაგიეროდ სახარბიელოა! მე ხალხს ვუჩვენებ ცხოვრების უკუღმა მხარეს. ჩემს ტილოზე გამოხატულია თავმდაბალი ხარაზის თავგადასავალი, თავგადასავალი ფერაბრას ალექსანდრიელისა, დონ-დიეგო კორგენტესის ცხოვრება და ამბავი მამაცი ფრანსისკო ესტევანისა; ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მე ძალმიძს ალფონსის მოღობა ენატარტალა და აშარი ქალებისათვის.

ხარაზის ცოლი. აი, ეს ჩემმა საბრალო ქმარმა ციკოდა.

ხარაზი. ღმერთო შეიწყალე!

ხარაზის ცოლი. ეი, შენ!

მეზობლები იცინიან.

ბიჭი. გაჩუმდი!

ალკალდი. (გოროზად) სიჩუმე! ეს დაროგება ყველას დასოგადებათ, დაიწყეთ.

ხარაზი ხსნის ტილოს, რომელზედაც ბრმა კაცის ამბავია გახატული. სურათი დაყოფილია პატარა კვადრატებად და ღიად არის დაფერილი. ფონი ყვითელი აქვს. მეზობლები ხარაზს ირგვლივ შემოტყევიან. ცოლი ჯდება და ისვამს ბიჭს მუხლებზე.

ხარაზი. ყურადღება!

ბიჭი. რა ლამაზია! (მოეხვევა ხარაზის ცოლს, ჩურჩულია).

ხარაზის ცოლი. კარგად მოუსმინე, თორემ შეიქნებ ვერც კი გავიგო.

ბიჭი. ღვთისმეტყველებაზე ძნელი ხომ არ იქნება.

ხარაზი. პატივცემულო საზოგადოება! მოისმინეთ ფრიად ყურადსაღები და საგულისხმო ამბავი ერთი წითელლოყება ქალისა და მისი თვინიერი ქმრისა. დაე, ეს ამბავი იქცეს თქვენთვის მაგალითად (ყრუ ხმით) მოისმინეთ და შეისმინეთ!

მეზობლები კისრებს დაბავენ. ზოგიერთები ერთმანეთს ხელს ჩაკიდებენ.

ბიჭი. ამ ჯამბაზის ხმა შენი ქმრის ხმას წაავავს, არა?

ხარაზის ცოლი. ჩემ ქმარს უფრო ნაზი ხმა ჰქონდა.

ხარაზი. შეიძლება დავიწყო?

ხარაზის ცოლი. ზურგზე ჭიანჭველები დამიბრბიან.

ბიჭი. მეც.

ხარაზი. (ჯოხს დაატარებს ტილოზე)

კორდოვის ახლოს სახლია ერთი,

სწორედ ამ სახლში ყვავილებს შორის

ბუჩქნარისა და ვენახის ახლოს,

ცხოვრობს ხარაზი თავისი ცოლით. (ყველა დაიძაბება).

ცოლი ანჩხლია და აბეზარი,

საწყალი ქმარი — მომთმენი მეტად.

ქალი იქნება ოციოდ წლისა,  
ორმოცდაათის—ქმარი იქნება.  
ღმერთო! ჩხუბობენ და მერე როგორ  
შეხედეთ—ქალი წააგავს ნადირს.  
არა გგონიათ, რომ ის, ამ წამში  
საბრალო ხარაზს შესანსლავს, მოსპობს.

სურათზე გამოხატულია ქალი, ბავშვური ჭირვეული სახით.

ხარაზის ცოლი. რა საზიზღარი ქალია!  
ხარაზი. რა დალალები აყრია ლამაზს!  
არ მოუხდება დედოფალს, განა?!  
სხეული მისი წყაროა სუფთა,  
და გაზაფხულზე სამოსი მისი  
მწიფე ღიმონის დააფრქვევს სურნელს,  
სალამო ხანს კი ბალახის სუნთქვას.  
დაგახვევს თავბრუს,  
მოვლე ქვეყანა  
და თვით ღმერთთანაც  
ხარაზის ცოლივით  
ვერ ნახავ ლამაზს.

მეზობელი ქალები იცინიან.

შეხედეთ, აბა! მის ფანჯარასთან  
კეკლუც ყმაწვილებს ცხენზე მსხდომარეთ,  
აბა, შეხედეთ, ერთი მათგანი  
როგორ ამაყად რაშს ათამაშებს.  
დალამებამდე ვაჟი და ქალი  
ხუმრობენ ნაზად, თან საუბრობენ,  
მაშინ როდესაც საწყალი ქმარი  
დასცქერის ტყავს და აკერებს თასმებს.

(გულზე მწუხარედ დაიწყობს ხელებს).

პატიოსანი დახვალ, ხარაზო,  
მაგრამ, ბებერო, ჭალარა დახვალ  
და უსაქმურმა ყმაწვილმა კაცმა  
სიყვარული და ცოლი წაგართვა!

ხარაზის ცოლი, რომელიც აქამდე სულ ოხრავდა, უცებ ხმამაღ-  
ლა ატირდება.

ხარაზი. (მოუბრუნდება) რა გემართებათ?  
ალკალდი. შეილო ჩემო! (კვერთხს აკაკუნებს).  
წითელკაბიანი მეზობელი. ვინც უნდა სდუმ-  
დეს, ის მუდამ ტირის.  
იისფერკაბიანი მეზობელი. განაგრძეთ!

მეზობლები ჩურჩულდებიან.

ხარაზის ცოლი. მებრალება, თავს ვერ ვიკავებ,  
რომ ხედავთ, რომ ვერ ვიკავებ? (ცდილობს ცრემლები შეი-  
კავოს და სასაცილოდ ისრუტება).

ალკალდი. ჩუმად!

ბიჭი აი, ხედავ!

ხარაზი. გთხოვთ ნუ შემაწყვეტინებთ, როგორც  
ტყუობა, თქვენ არ იცით, თუ რა ძნელია ზეპირად ლექ-  
სების თქმა.

ბიჭი. (ამოიოხრებს) ეს მართალია.

ხარაზი. (მოღუშული).

ერთ დღეს, როდესაც საშინლად ცხელა,  
როცა ყვავილებს სწყდებათ კისერი,  
ბაღში გამოდის ხარაზის ცოლი—  
უნდა, რომ მორწყას ვარდი წითელი,  
მის წინ გაჩნდება მყის საყვარელი.  
— ჩემო ლამაზო, გინდა რომ სვალვე,  
ხვალვე შენს სახლში სტუმრად გეწვიო?  
— მერე და ქმარი?—როგორ თუ ქმარი?

— რა გადასწყვიტე, თქვი, რას აპირებ?  
— მე? უნდა მოვკლა!—ლონიერია!  
მაქვს რევოლვერი?—სამართებელი!  
— მჭრელია განა?—როგორც სიკვდილი!

ცოლი თვალებს ხუჭავს. ბიჭს მიიხუტებს. მეზობელი ქალები ალგზნებულები არიან.

— შეხედე, მართლაც მჭრელია მეტად.  
— ხომ არ მატყუებ?—ათს ძლიერს მეტად,  
ჭრილობას ვუძღვნი. ოთხ დარტყმას ზურგში,  
ორს გულთან ახლოს, ორს კი ბარძაყთან.  
გწამდეს, ეს ხელი არ ათრთოლდება!  
მე სიმამაცემ ამანთო ახლა.  
— მაშ დღესვე მოკლავ?—არა ხვალ, ღამით,  
როს ბაზრობიდან სახლში წამოვს,  
დაველოდები პატარა ხრამში,  
სადაც გზა უხვევს მეორე მხარეს.

იმ დროს, როდესაც ხარაზი ბოლო ტაეპს ამბობს, გარედან მოისმის გამაყრუებელი კვილი. მეზობელი ქალები ფეხზე წამოცვივან. ისევ ყვირიან—უფრო ახლოს. ხარაზს ხელიდან უვარდება სურათი და ჯოხი. ყველანი სასაცილოდ კანკალებენ.

შავკაბიანი მეზობელი. (ფანჯარაში დანებს მოსკიდეს ხელი.

ხარაზის ცოლი. ღმერთო ჩემო!

წითელკაბიანი მეზობელი. დაგვიფარე, წმიდაო ქალწულო!

ხარაზი. რა ამბები ტრიალებს!

შავკაბიანი ქალი. სასიკვდილოდ იბრძვიან. დაასისხლიანეს ერთმანეთი ამ ქალბატონის გულისათვის, ორივე მეზობელი ქალი ცოლზე მიუთითებს.

ალკალდი. (მოუსვენრად) წავალ, მივხედავ!

ბიჭი. მეშინია!

შავკაბიანი მეზობელი. უშველეთ, უშველეთ!

ხმა გარედან. ამ საზიზღარი დედაკაცის გული-სათვის!

ხარაზი. მე ამას ვერ ავიტან, მე ამას ვერ ავიტან. (თავში ხელებს იტაცებს. დარბის ოთახში. ქალები გადიან ხმამაღალი ყვირილით, გზად ხარაზის ცოლს გოროზ მზერას ესვრიან).

ხარაზის ცოლი. (სწრაფად ზურავს კარს და ფანჯრებს) ხედავთ, რა სისაძაგლეა? ყველაფერს გეფიცებით, მე არა ვარ დამნაშავე. ვაიმე! რა ხდება იქ? შეხედეთ როგორ ვკანკალებ. (უჩვენებს მთრთოლვარე ხელებს). ხელებს თითქოს გაქცევა უნდათ ჩემგან.

ხარაზი. დამშვიდდი, ძვირფასო... შენი ქმარი გარეთ არის?

ხარაზის ცოლი. ჩემი ქმარი? (ტირის) აჰ, სინიორ!

ხარაზი. რა მოუვიდა?

ხარაზის ცოლი. ამ ხალხის გულისთვის მან მე მიმატოვა. მარტო დავრჩი და არავინა მყავს შემწე.

ხარაზი. საბრალო!

ხარაზის ცოლი. მერე როგორ მიყვარდა! ვგიჟდებოდი!

ხარაზი. (თავს ვერ იკავებს) ტყუილია.

ხარაზის ცოლი. (უცებ შეწყვეტს ტირილს) რა სთქვი?

ხარაზი. (უხერხულად) მე ვამბობ, რომ ეს ყოველივე გაუგებარია, არა ჰგავს სიმართლეს.

ხარაზის ცოლი. მართალს ბრძანებთ! მაგრამ იმ დღიდან აღარა ვჭამ, არც ვსვამ, არცა მძინავს, არ ვცოცხლობ. ის იყო ჩემი სიხარული, ჩემი იმედი.

ხარაზი. იცოდა, რომ ასე გიყვარდათ და მაინც მიგატოვებთ? ეტყობა, თქვენს ქმარს ცოტა უქროდა!

ხარაზის ცოლი. ენა დაიმოკლეთ, არავის არ

აინტერესებს თქვენი აზრი.

ხარაზი. მაპატიეთ, არ მინდოდა!

ხარაზის ცოლი. უნდა ვითხრა, რომ ძალიან ჭკუიანი იყო!

ხარაზი. (დამცინავად) მართლა?

ხარაზის ცოლი. ხომ იცით რამდენ ზღაპრებს და რომანსებს იგონებენ სოფლებში? ეს მეთელი იმისა, რაც მან იცოდა. მან იცოდა... მან იცოდა... სამჯერ მეტი.

ხარაზი. (სერიოზულად) შეუძლებელია?

ხარაზის ცოლი. (დაჟინებით) ოთხჯერ მეტი. ლოგინში რომ ვწვებოდით, იგი მიყვებოდა ათასგვარ ძველ ამბებს, რაც თქვენ იქნებ არც კი გაგიგონიათ. (კვალუცად) მე მეშინოდა. ის კი მეუბნებოდა—ჩემო საუნჯევ, ეს ხომ სულ ხალხის გამონაგონია.

ხარაზი. (გაჯავრებული) სიცრუეა!

ხარაზის ცოლი. (გაოცებული) რა? ჭკუიდან ხომ არ შეიშალეთ?

ხარაზი. სიცრუეა!

ხარაზის ცოლი. როგორ ბედავ ასეთ ლაპარაკს, ჯამბაზო?

ხარაზი. (დგება. მტკიცედ) თქვენი ქმარი სავსებით მართალია. ყველა ეს ამბები სიცრუეა, გამონაგონი.

ხარაზის ცოლი. (უხეშად) დიახ, ბატონო ჩემო, თქვენ მგონი სულელი გგონივართ, მაგრამ იმას ხომ მაინც ვერ უარყოფთ, რომ ეს ამბები მსმენელებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს?

ხარაზი. ეს უკვე სულ სხვაა. ისინი შთაბეჭდილებას ახდენენ შთაბეჭტად სულებზე.

ხარაზის ცოლი. ყოველ ადამიანს აქვს გრძობები.

ხარაზი. როგორ ვითხრათ... ბევრია ამ ქვეყანაზე გრძობი ხალხი. აი, ჩემს ქალაქში ცხოვრობდა ერთი ქალი... ისეთი ცივი გული ჰქონდა, რომ დილიდან დაღამებამდე ფანჯარაში თავის თაყვანისმცემლებს ელაპარაკებოდა, ქმარი კი ფეხსაცმელებს ჩასჩიჩინებდა.

ხარაზის ცოლი. (დგება და სკამს დააფლავს ხელს) მაგას ჩემზე ამბობთ?

ხარაზი. როგორ გეკადრებათ!

ხარაზის ცოლი. აბა, გაიმეორეთ რა სთქვით, ჩქარა!

ხარაზი. სინიორიტა, როგორ გეკადრებათ? მე ხომ არ გიცნობთ? მე თქვენთვის შეურაცხყოფა არ მომიყენებია. რად უნდა მაწყენინოთ? ეტყობა ასეთი ბედი მქონია (თითქმის ტირის).

ხარაზის ცოლი. (მოღებდა) მომისმინეთ, კეთილო კაცო. ასე იმიტომ გელაპარაკებით, ასე მგონია, სულ ნაკვერცხლებზე ვიჯდე. ყველა მე მიხირდება, ყველა მე მლანძღავს, როგორ გინდათ, რომ თავი არ დავიცვა? მე ხომ ობლად ვცხოვრობ. მე, ასეთი ახალგაზრდა, ვსულდგმულობ მხოლოდ წარსულით (ტირის).

ხარაზი. (ეტირება) მე კარგად ვესმის თქვენი, კარგო გოგონავ, უკეთ, ვიდრე თქვენა გგონიათ, იმიტომ რომ საიდუმლოდ უნდა გაგანდოთ... ასეთივე მდგომარეობაში ვიმყოფები მეც!

ხარაზის ცოლი. (დაინტერესდება) შეუძლებელია...

ხარაზი. (ჯდება მაგიდასთან) მე... მე ცოლმა მიმატოვა...

ხარაზის ცოლი. მერე არ დაისაჯა ამის გამო?

ხარაზი. იგი სხვაგვარ ცხოვრებაზე ოცნებობდა, არა ისეთზე, როგორსაც მე ვიყავი შეჩვეული. იგი ახალ-

გაზრდაა, ჯიუტი. უყვარს ვაჟებთან ლაყბობა, უყვარს ძვირფასი ტკბილეული, რასაც მე ვერ ვყიდულობ... ჰოდა, ერთ-ერთი შეკამათების შემდეგ, სამუდამოდ მიმატოვა.

ხარაზის ცოლი. მერე, თქვენ სულ ასე უნდა იხეტიალოთ ამქვეყნად?

ხარაზი. დავდივარ, რათა ვიპოვო იგი და ვუთხრო, რომ მე მას ვაპატიე, რომ ჩემი ცხოვრების... ბოლომდე მინდა ვიცხოვრო მასთან ერთად. არ შეეფერება ჩემს ხნის კაცს ტავერნებში და სასტუმროებში ხეტიალი, ეშმაკსაც წაუღია!

ხარაზის ცოლი. (სწრაფად) ცხელი ყავა დალიეთ, აღელვებული ხართ, მოგიხდებათ. (გაემართება დახლისაკენ, ხარაზს ზურგს უქცევს).

ხარაზი. (სასაცილოდ გადაიწერს პირჯვარს) ღმერთმა სამაგიერო მოგიზღოს, ჩემო მიხაკო!

ხარაზის ცოლი. (მიართმევს ყავას, ლანგარით ხელში დგას მაგიდასთან. ხარაზი ყავას მიირთმევს ყლუპით) გემრიელია?

ხარაზი. (ნაზად) თქვენი ხელებით მიორთმეული ყველაფერი გემრიელია.

ხარაზის ცოლი. (ღიმილით) გმადლობთ!

ხარაზი. (ამთავრებს ყავის სმას) როგორ მშურს თქვენი ქმრის!..

ხარაზის ცოლი. რატომ?

ხარაზი. იმიტომ, რომ მან ცოლად შეირთო უმშვენიერესი ქალი.

ხარაზის ცოლი. (ესიამოვნა) რასა ბრძანებთ!

ხარაზი. ახლა კიდევ მიხარია, რომ მივდივარ აქედან, იმიტომ რომ თქვენ ასეთი ლამაზი ხართ, ჩემი ენა კი უძვლოა, ერთიც ვნახოთ, ორაზროვნად გამოვიდეს...

ხარაზის ცოლი. (გამოერკვევა) გაჩუმდით, ღეთის გულსთვის! რა თავს გაგივიდათ? ჩემი გული ეკუთვნის მას, ეინც ამქვეყნად უგზო-უკვლოდ დახეტიალობს, ვისაც იგი უნდა ეკუთვნოდეს – ჩემს ქმარს.

ხარაზი. (აღტაცებით იატაკზე ქუდს დაანარცხებს) აი, ასე უნდა მსჯელობდნენ ნამდვილი ქალები!

ხარაზის ცოლი. (გაოცებით და დაცინვითაც) მე მგონი თქვენ ცოტა... (შუბლზე თითს იკაკუნებს).

ხარაზი. რაც გინდათ, ის იფიქრეთ, მაგრამ იცოდეთ, მე არავინ არ მიყვარს ჩემი ცოლის, ჩემი კანონიერი მეუღლის გარდა.

ხარაზის ცოლი. მე კი ჩემი ქმრის გარდა, არავინ, ჩემი ქმრის გარდა! მე ეს იმდენჯერ გავიმეორე, რომ ყურებმაც კი უნდა გაიგონონ (გულხელს დაიკრეფს) ო, ჩემო ძვირფასო საპატერილიო!

ხარაზი. (განზე) ო, ჩემო საყვარელო საპატერილია! (აკაკუნებენ).

ხარაზის ცოლი. ღმერთო ჩემო, ისევ რალაც მოხდა, ვინ არის?

ბიჭი. გამიღე!

ხარაზის ცოლი. ნუთუ ბიჭია? რამ მოგიყვანა?

ბიჭი. სათქმელად მოვედი.

ხარაზის ცოლი. ჰო, რა მოხდა?

ბიჭი. ორმა თუ სამმა ბიჭმა ერთმანეთი დაჭრეს, ამბობენ, რომ შენი გულისთვის. იმდენი სისხლია! ქალები მოსამართლესთან გაიქცნენ, ქალაქიდან შენი გაძევება უნდათ! მამაკაცებმა მნათეს უბრძანეს ყველა ზარები დარეკოს, შენზე სიმღერებს იმღერებენ (ძლივს სუნთქავს, გახვითქულია).

ხარაზის ცოლი. (ხარაზს) ხომ გესმით?

ბიჭი. მოედანზე ბრბო შეიკრიბა. ყველა შენ გლანძღავს.

ხარაზი. საზიზღრები! მე მწვავს სურვილი, დაგი-  
ცვათ.

ხარაზის ცოლი. რას ბრძანებთ, ციხეში დაგალ-  
პობენ. მე თვითონ მოვიფიქრებ რასმე.

ბიჭი. ფანჯრიდან მოსჩანს მთელი ეს აურზაური.  
ხარაზის ცოლი. წამოდი, მე თვითონ მინდა და-  
ვრწმუნდე მათს არარაობაში. (ხარაზის ცოლი და ბიჭი გა-  
დიან).

ხარაზი. ავაზაკებო, ოჰ, თქვე ავაზაკებო! მოითმი-  
ნეთ, გაგისწორებთ ანგარიშს. მე თქვენ გიჩვენებთ სე-  
ირს. ჩემო კარგო სახლო, რა სითბოს აფრქვევს შენი  
კარ-ფანჯრები! და რა საშინელია ეს სასტუმროები,  
სადაც ასე საძაგლად ჰკვებავენ კაცს და რა ხმელი მე-  
ჩვენება ქვეშაგები უცხო ადგილას. რა ჩერჩეტი უნდა  
იყო, რომ ვერ დაინახო, რა ოქროა ჩემი ცოლი, ბაჯა-  
ღლო ოქრო. მგონი არა ვცდები!

წითელკაბიანი მეზობელი. (სწრაფად შემოდის)  
კეთილო კაცო!

ყვითელკაბიანი მეზობელი. (სწრაფად შემოდის)  
კეთილო კაცო!

წითელკაბიანი მეზობელი. ახლავე წადით  
აქედან, თქვენ წესიერი კაცი ხართ და არ შეგეფერებათ  
აქ ყოფნა!

ყვითელკაბიანი მეზობელი. ეს სახლი აფ-  
თარს ეკუთვნის, ძუ ლომს.

წითელკაბიანი მეზობელი. ეს სახლი ცოდვი-  
ლი ქალისაა, იგი ყველა მამაკაცს თავბრუს ახვევს.

ყვითელკაბიანი მეზობელი. ან თვითონ მო-  
შორდეს აქედან ან ძალით გავაგდებთ. ჰკუიდან შეგე-  
შალა.

წითელკაბიანი მეზობელი. ნეტა კუბოში მა-  
ჩვენა მაგისი თავი!

ყვითელკაბიანი მეზობელი. სუდარაში, ხელ-  
ში მწვანე შტოთი!

ხარაზი. (ნაღვლიანად) გეყოფათ.

წითელკაბიანი მეზობელი. სისხლი დაიღვარა!

ყვითელკაბიანი მეზობელი. აღარ დარჩა  
მშრალი ცხვირსახოცები.

წითელკაბიანი მეზობელი. იყო ორი ვაჟი,  
როგორც ორი მზე!

ყვითელკაბიანი მეზობელი. ახლა კი ყოველ  
მათგანს მკერდში დანა აქვს.

ხარაზი. (ყვირის) გაჩუმდით!

წითელკაბიანი მეზობელი. სულ მაგის გამო!

ყვითელკაბიანი მეზობელი. მაგის გამო, მაგის  
გამო!

წითელკაბიანი მეზობელი. ჩვენ თქვენზე  
ვზრუნავთ!

ყვითელკაბიანი მეზობელი. გვინდა გაგაფრ-  
თხილოთ!

ხარაზი. მატყუარებო, ჭორიკნებო, საძაგლებო!  
თმებს დაგაგლეჯთ!

წითელკაბიანი მეზობელი. (მეორეს) ესეც გაა-  
ბა!

ყვითელკაბიანი მეზობელი. კოცნით ალბათ.

ხარაზი. აღქაჯებო! ეშმაკის ფეხებო! მოწყდით  
აქედან!

შავკაბიანი მეზობელი. (ფანჯარაში) ნათლი-  
დედ, გავიქცეთ (გარბის).

წითელკაბიანი მეზობელი. კიდევ ერთი გა-  
ება.

ყვითელკაბიანი მეზობელი. კიდევ ერთი!  
(გარბიან).

ხარაზი. მოწყდით აქედან, სარეკლებო! მე თქვენი სამართებელს ჩაგიკერებთ ფეხსაცმლის ძირში, დასაცადეთ!

ბიჭი. (შემობის) კაცები ალკადის სახლში შევიდნენ! წავალ გავიგებ! (გარბის).

ხარაზის ცოლი. (შემოდის, მტკიცედ) მე აქ ვრჩები, ერთი სინჯონ აქ შემოსვლა! მაგათ ავიწყდებათ, რომ ბაბუაჩემი ცხენების მხედნავი იყო! მე იმათი მოდგმისა ვარ, ვისაც უბელო ცხენებზე არა ერთხელ გადაულახავს მთები.

ხარაზი. სიმამაცე არ გიღალატებთ?

ხარაზის ცოლი. ის, ვისაც ჩემსავით ძალა სიყვარულმა და ერთგულებამ შთაუნერგა, არ დანებდება! მე ვიბრძოლებ მანამ, სანამ არ გავჭაღარავდები!

ხარაზი. (გულაჩუყებული მიდის მისკენ) ოჰ!..

ხარაზის ცოლი. რა გემართებათ?

ხარაზი. ამაღელვებით!

ხარაზის ცოლი. შეხედეთ, მთელი ქალაქი ჩემს წინააღმდეგ აღსდგა, მათ ჩემი მოკვლა სურთ, მე კი არ მეშინია. დანას დანითვე პასუხობენ. ჯოხს—ჯოხით! მაგრამ, აი, ღამით, როდესაც კარს ჩაჰკეტ და მარტორჩები... ისეთი ნალღელი შემოგაწვება ხოლმე... ისეთი... შიშისაგან ძლივს სუნთქავ... ყველაფრისა გეშინია... კარმა გაიხმაურა, წვიმა აშრიალდა, საწოლმა გაიჭრიალა, რა არ გეჩვენება!.. და ეს მხოლოდ სიმარტოვის შიშია, რომელიც სავსეა მოჩვენებებით. მე წინათ არ ვგრძნობდი ამას, მაგრამ ამასვე გრძნობდნენ დედაჩემი, ბებიაჩემი და სხვა ქალები ჩვენი გვარისა...

ხარაზი. რატომ არ გინდათ შესცვალოთ ასეთი ცხოვრება?

ხარაზის ცოლი. რამ გადაგრიათ? რა გავაკეთო?

...უნდა წავიდე? არა, ჯერ აქ დავრჩები, მერე როგორც ღმერთი ინებებს.

შორიდან მოსმის ხალხის ხმაური და ტაშის ხმა.

ხარაზი. სამწუხაროა, მაგრამ გათენებამდე უნდა განვაგრძო გზა. რამდენი გერგებათ? (ტილოს ახვევს).

ხარაზის ცოლი. არაფერი.

ხარაზი. არა, არა ვარ თანახმა...

ხარაზის ცოლი. თქვენ გაგვართეთ, ჩვენ დაგავართეთ...

ხარაზი. დიდი მადლობა! (ნალღლიანად მოიგდებს მხარზე დახვეულ ტილოს) აბა, მშვიდობით, სამუდამოდ... იმ-იტომ, რომ ჩემი ხნის კაცს... (აღელვებულია).

ხარაზის ცოლი. (ისიც ღვლავს) არ მინდა, ასე დაგშორდეთ, ჩვეულებრივ მე უფრო მხიარული ვარ. (წკრიალა ხმით) კეთილო კაცო, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, რათა იპოვოთ თქვენი ცოლი და იცხოვროთ მასთან ისე, როგორც თქვენ გეკადრებათ.

ხარაზი.. იგივე შემიძლია გისურვოთ თქვენც. ხომ იცით, მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს... შემთხვევით თქვენს ქმარს რომ შევხვდე რა გადავცე?

ხარაზის ცოლი. უთხარი, რომ ვალმერთებ!

ხარაზი. კიდე?

ხარაზის ცოლი. მიუხედავად იმისა, რომ ორმოცდაათზე მეტი წლისაა, მე ის მიმაჩნია ყველაზე ძლიერ და ტანწერწეტა მამაკაცად.

ხარაზი. რა მშვენიერი ხართ! თქვენ ქმარი ისევე გიყვართ, როგორც მე ჩემი ცოლი.

ხარაზის ცოლი. არა, გაცილებით უფრო მეტად!

ხარაზი. შეუძლებელია! მე ძალდი ვარ, ჩემი ცოლი კი პატრონი, ჰოდა, მიპატრონოს! ის ჩემზე კეთილია! (უახლოვდება და ტკბება მისი ცქერით).

ხარაზის ცოლი. უთხარით, ველოდები და ზამთრის ღამეები გრძელა!

ხარაზი. მ.შ კარგად მიიღებთ?

ხარაზის ცოლი. მეფესავით! არა, სამეფო ლივით!

ხარაზი. ახლა რომ მოვიდეს?

ხარაზის ცოლი. გავგიჟდები!

ხარაზი. აპატიებთ მის სისულელეს?

ხარაზის ცოლი. დიდი ხანია ვაპატიე.

ხარაზი. გინდათ, ახლა აქ გაჩნდეს?

ხარაზის ცოლი. ეჰ, რომ შეიძლებოდეს?

ხარაზი. აი, ისიც!

ხარაზის ცოლი. რა?

ხარაზი. (მოიგლეჯს სათვალეს და ნიღაბს) აღარ შემიძლია, ჩემო საყვარელო!..

ცოლი დგას ხელგაშლილი. ხარაზი მოეხვევა. ცოლი თვალს არ აშორებს. გარედან მოისმის სიმღერის ხმა.

საპატერას უტყვი ქმარი,  
როგორც გასცდა სახლის კარებს,  
მის გარშემო კავალრებმა  
წამსვე თავი მოიყარეს...

ხარაზის ცოლი. (გონს მოდის) მაწანწალა, ავაზაკო, გაიძვერა, ოხერო, გესმის? შენი გულისათვის! (სკამებს აპირქვევებს).

ხარაზი. (აღელვებული მიდის დაზვისაკენ) ჩემო კარგო!

ხარაზის ცოლი. შე მაწანწალა! როგორ მიხარია, რომ დაბრუნდი. რა ცხოვრებას მოგიწყობ!.. ინკვიზიციის დროსაც რომ არ ყოფილა, ისეთს. ქრისტიანების დევნის დროს რომშიც რომ არ ყოფილა—ისეთს.

ხარაზი. რა ბედნიერებაა საკუთარ სახლში ყოფნა! (სიმღერა ახლოვდება. ფანჯარაში მეზობელი ქალები გამოჩნდებიან).

უნდი.

საპატერას უტყვი ქმარი,  
როგორც გასცდა სახლის კარებს,  
კავალრებმა ნაირფერი  
საჩუქრები დააყარეს.

თვით ალკალდი ოხრავს მისით,  
ოხრავს მასზე დონ-შოშილო,  
საპატერა, საპატერა,

თავი როგორ შეირცხვინე!

ხარაზის ცოლი. რა უბედური ვარ! რალა მიჭირს, მარგუნა უფალმა ასეთი ქმარი! (მიდის კარებთან) გაჩუმდით, იუდის კერძებო! გაგიხმეთ ეგ ენები! ანდა არა, არა, მობრძანდით ვისაც გნებავთ! ჩვენ ახლა ორნი ვართ—მე და ჩემი ქმარი და ჩვენ შევძლებთ ჩვენი ოჯახის დაცვას! (ქმარს) მე და ეს ავაზაკი, მე და ეს მაწანწალა!

სიმღერა სცენაზე შემოიჭრება, შორიდან მოისმის ხარების გაათრეხული რეკა.

ფარდა.